№ 3000
პარასკევი,
10 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 3000
პარასკევი,
10 თებერვალი

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით **ერთის წლით 6** მან.
ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით **ერთის წლით 11** მან.
ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი. „ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

განცხადება

ტფ. მედროგეთა და მეეტლეთა შესახებ არსებულ სავალდებულო დადგენილებათა მე-13 §-ის თანახმად, ქალაქის გამგეობა სთხოვს ეტლების პატრონთ მობრძანდნენ 17 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზედ ქალაქის გამგეობაში თავიანთ ბლიახებით ან სავალდებულო დადგენილებათა წიგნაკებით სტაროსტისა და მის კანდიდატის ასარჩევად. (6.—3—3)

ვისაც სურს

სახლი ააშენოს, ან უკვე აშენებული სახლი გადააკეთოს გემოვნიანათ, იაფად და მკვიდრათ, ვკისრულობ ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას ყველასათვის ხელმისაწვდომ პირობებით. ვიღებ სახაზავ საქმეებსაც.

მსურველმა მომმართოს: 1) სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლის ეზოში, Бюро „Сотрудникъ"-ის კანტორაში, ტელეფონი № 60, ან 2) ჩუღურეთში, გონჩარნი ქუჩაზე, საკ. სახლი № 28.

(10—6—5) ტეხნიკოსი **გიგო თოიძე.**

ტფ. თათარ-სომეხთა შეტაკების დროს

დაიკარგა მილიციონერი

ივანე ანდრიას ძე ტორიკაშვილი. 23 წლისა, საშუალო ტანისა, შავგრემანი, შავთვალ-წარბა, შავ წვერ-ულვაშებიანი. ვინც რამ იცის ან გაიგოს იმის შესახებ, ვთხოვ მაცნობონ მე, იმის ძმას სიმონ ანდრიას ძე ტორიკაშვილს, „ცნობ. ფურ." რედაქციის ადრესით.

P. S. ვთხოვ ადგილობრივ სომხურ და აგრეთვე თათრულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს ჩემი განცხადება. (უ. 6—6)

ა. პ. შულგინა-მესხი

გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

ნიკოლოოზისა (№ 14) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმიობით 10—1-მდის.

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 საათ—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (51—368—58)

ექიმი
გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (31—5.—32)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

კბილის ექიმმა
ი. ზ. ქანდელაკმა

განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, მატინოვის სახლი № 32. ძველ ბინის გვერდზე.

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა (19—12)

ექიმი
მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი
მ. პ. ბეზირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათზედ. (თვ.—25)

ქ. ქუთაისში
ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გაკიელოვისა. (15—კვ.—2)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ბ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.

ი. ნ. მზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ნ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. ქიმოეტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—45)

ტფილისი, 10 თებერვალი.

კონსტიტუციონალ-დემოკრატების პარტია.

თითქოს რაღაც უზენაეს კანონის გამო ყოველი პოლიტიკური პარტია სწორედ იმით იქებს თავს, რაც მის მთავარ ნაკლულევანებას შეადგენს. ნაციონალისტური პარტიები ქვეყანას ყურებს უჭედენ, მხოლოდ ჩვენი პარტია იცავს ნაციის ანუ ერის ინტერესებსო, ნამდვილად კი ამ პარტიებს სწორედ ნაციის პარაზიტები, ერის ქონების გამანიავებელნი შეადგენენ. სოციალ-დემოკრატიული პარტიები გაიძახიან, ერთად-ერთი ნამდვილი დამცველი მუშათა ინტერესებისა ჩვენა ვართო, ნამდვილად-კი თავის განკერძოვებით ყველაზე მეტად უშლიან ისინი ხელს მუშათა ინტერესების დაცვას. წესიერების პარტიები ქვეყანას იკლებენ თავის უკანონო და უწესო მოქმედებით, მაგრამ წარბ შეუხრელად ბრძანებენ, ერთად-ერთი ჭეშმარიტი დამცველი წესიერებისა ჩვენა ვართო. კონსტიტუციონალ-დემოკრატების პარტია არც ერთს საგანზე არა ლაპარაკობს ისე გაბედვით, ისე მედგრად და რიხიანად, როგორც პატიოსნებაზე, ზნეობაზე და ეთიკაზე. ანალოგია სხვა პარტიებთან გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ კონ.-დემოკრატების სუსტი მხარე სწორედ ზნეობა, პატიოსნება და პრინციპები უნდა იყოს. მაგრამ ანალოგია—სუსტი არგუმენტია და ამიტომ სხვა რამ საბუთები უნდა მოვძებნოთ ამ პარტიის დასახასიათებლად. წინადვე კი ვიტყვით, ნურას უკაცრავად კონ.-დემოკრატების წინაშე, თუ ზემოხსენებული ანალოგია სხვა პარტიებთან გამართლდა.

კონსტიტუციონალ-დემოკრატების პარტიაში მრავალმა სხვა და სხვა გვარმა მიმართულებამ მოიყარა თავი. როგორც პარლამენტი განიყოფება მემარჯვენეებად, ცენტრად და მემარცხენეებათ, ისე კონ.-დემოკრატების კრება შეიძლება დანაწილდეს და ნაწილდებიან კიდეც ფრაქციებად. ამ პარტიაში მატერიალისტებთან ერთად წევრად ითვლებიან სარწმუნოებრივი მისტიკები (მერეჟკოვსკი), სოციალისტებთან ერთად ბურჟუაზიული ინდივიდუალისტები, რესპუბლიკანელებთან ერთად საკონსტიტუციო მონარქიის დამცველნი, ორ-პალატიან პარლამენტის მომხრეებთან ერთად ერთი პალატის მომხრენი და სხვა. როგორც პრინციპების მიხედვით, აგრეთვე პრაქტიკულ იდეალების მიხედვით ისეთი ფერადოვანი პარტია, როგორც კონ.-დემოკრატებისაა, რუსეთში მეორე არ მოიპოვება. ამ აზრით, კონ.-დემოკრატთა პარტიას შეიძლება მრავალ-თავიანი და მრავალ-გულიანი ვუწოდოთ. ეს დამახასიათებელი თვისება პარტიისა განსაკუთრებით ნათლად და ცხადად სჩანდა პარტიის დაარსების პირველ ხანებში, შემდეგ თითქოს ცოტაოდნად დაიფარა ეს თვისება, მაგრამ იგი მხოლოდ დაიფარა ზემოდან გადაფარებულ ქერქის ქვეშ, ნამდვილად კი ისევე არსებობს, როგორც წინად.

მრავალ-თავიანობის და მრავალ-გულიანობის პირველი ნაბიჯი, რა თქმა უნდა, სამოქმედო ენერგიის უქონლობა უნდა ყოფილიყო. პარტიის სამოქმედო ენერგია ყოველთვის იმდენად არის ძლიერი, რამდენადაც პარტიის პრინციპიალური და პრაქტიკული აზრები გამორკვეულია, და, პირიქით, რამდენადაც პარტიის ფიზიონომია ფერადია, იმდენად სუსტია იმისი სამოქმედო ნიჭიც. როდესაც პარტიის არც ერთ წევრს არ შეუძლიან თავის აზრების და ტაქტიკის გამოტანა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე პარტიის დროშის ქვეშ, მაშინ პარტიის სახელით მოქმედებაც შეუძლებელია. სწორედ ამიტომ კონსტიტუციონალ-დემოკრატები პარტიის გარეშე მოქმედებას უფრო მეტს დროს და ენერგიას ანდომებდნენ, ვიდრე პარტიაში მოქმედებას. საერობო და სამოქალაქო მოღვაწეთა ორგანიზაცია მთლად თუ არა მომეტებულ წილად კონ.-დემოკრატებისაგან შესდგებოდა და ამ არა პარტიულ კორპორაციაში მუშაობას ისინი იმდენ ძალღონეს ახარჯავდნენ, რამდენიც ჯერ სხვაგან არსად დაუხარჯავთ. საერობო მოღვაწეთა მეორე კრების გადაწყვეტილებანი (რეზოლიუციები) პირდაპირ და სიტყვა-სიტყვით გადატანილ იქმნენ შემდეგში კონ.-დემოკრატების პროგრამაში—ეს ერთი ფაქტიც მჭევრ-მეტყველურად ამტკიცებს, რომ კონსტიტუციონალ-დემოკრატები ძალიან წააგავან იმ ქათმებს, რომლებიც შინ კაკანებენ და სხვაგან კვერცხსა სდებენ.

კონ.-დემოკრატები თითონაც არა მალავენ თავის სამოქმედო უნიჭობას, გულ ახდილად აღიარებენ ცოდვას და ძალიანაც სწუხან, მაგრამ ცოდვის მონანიებით პრაქტიკულ ენერგიას მაინც ვერ იძენენ. „ჩვენ კონ.-დემოკრატებიო, სწერს ერთ-ერთი წევრი პარტიისა, რა საკვირველია, უნდა ვმოქმედობდეთ და მე ჩემს პატივცემულ ოპონენტზე ნაკლებ არა ვწუხვარ, რომ აქამდე ჩვენ ძალიან ცოტას ვმოქმედებდით, რომ მოქმედების მხრივ ჩვენი პარტია, როგორც სხვა მემარცხენე, ისე მემარჯვენე პარტიების ბოლოში ვართ მოქცეული". საინტერესოა, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ბ-ნს ა. კაუფმანს, რომელიც მეორე კონ.-დემოკრატს ბ-ნს ს. ფრანკს ეკამათება პარტიის ტაქტიკის შესახებ, მაგრამ ამაზე მეტად საინტერესო ისაა, რომ პარტიის ლიდერი და სულის ჩამდგმელი ბ-ნი პეტრე სტრუვე არც კაუფმანის აზრების თანახმაა, არც ფრანკისა, იმას სხვა ცალკე აზრებიცა აქვს. სამოქმედო ნიჭის უქონლობა ისეთი თვალ-საჩინო ნაკლულევანებაა კონ.-დემოკრატების პარტიისა, რომ რამდენიმე წევრმა ამ მიზეზით სულ-ერთიან გაანება თავი პარტიას, თუმცა ეს გარემოება ძალიან საწყენად დარჩათ ბ-ნს მილიუკოვს და იმის ამხანაგებს. ზემოხსენებულ მიზეზის გამო პარტიიდან წასულნი ამბობდნენ. კონ.-დემოკრატები მთლად ან უმთავრესად მეცნიერების, პროფესსორების და ფილოსოფოსებისაგან შესდგება და ამიტომ პარტიას პრაქტიკულ მოქმედების ნიჭი არა აქვსო. ეს აზრი ჩვენ სანიმუშოდ მივაჩნია იმ მხრივ, რომ თვით-კრიტიკა ფილოსოფოსებისა და პროფესსორებისთვისაც ძალიან ძნელი საქმე ყოფილა.

ამ გვარად, კონ.-დემოკრატების დასახასიათებლად ჩვენ უკვე ორი რეალური ფაქტი გვაქვს ხელთ: 1) პროგრამის გადამეტებული სიფართოვე, რომელიც პარტიას გამოურკვევლობის ხასიათს აძლევს და 2) სამოქმედო ენერგიის უქონლობა, რომელიც წარმოსდგება პროგრამის სიფართოვისაგან. ეს ორივე თვისება მეტად ხელშემწყობი გარემოებაა სრულიად დამწიფებულ და ძლიერ პარტიის დასაშლელადაც-კი და, რა თქმა უნდა, სრულებით ხელს არ უწყობს პარტიის გაძლიერებას. ძალა-უნებურად იბადება საკითხი, რატომ მისცეს ასეთი ხასიათი თავის პარტიას მეცნიერმა და ფილოსოფოსმა მეთაურებმა და ან რისთვის და რის იმედით განიძრახეს მათ თვით პარტიის დაარსება?

ამ ფრიად საინტერესო საკითხზე საკმაო გულახდილს პასუხს გვაძლევს ბ-ნი კაუფმანი, რომელსაც რამდენიმე კვერს უკრავს პეტრე სტრუვე. ჟურნალ „პოლიარნაია ზვეზდას" მეორე ნომერში კაუფმანი სწერს: „ეხლანდელ მდგომარეობაში ჩვენ არაფერი არ შეგვიძლიან დავუპირისპიროთ სოციალ-დემოკრატების წითელს დროშას, იმის დაპირებას, რომ ხუთი წუთის განმავლობაში გასტეხს კაპიტალისტების წინააღმდეგობას, შემოიღებს 8 საათის სამუშაო დღეს, გააუქმებს სამუდამო ჯარს და დაამყარებს დემოკრატიულ რესპუბლიკას. მიწების გასაყოფად თავმოყრილი გლეხები ხომ, შეიძლება, პირდაპირ კეტებითაც გამოგვიდგნენ, თუ უთხარით, რომ ისინი თავის მოქმედებით მხოლოდ საზოგადოებრივ რეაქციას ემსახურებიან და უძნელებენ ხელს საადგილ-მამულო საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ ეხლანდელი მდგომარეობა—წუთიერია. როდესაც სოციალდემოკრატთა ცბიერის იმედებით მოტყუებული მუშები პირისპირ დაინახავენ დანგრეულს ვარცლს, როდესაც დაინახავენ, რომ ფაბრიკები სამუდამოდ დაიკეტა, ასი ათასობით მუშა უსაქმოდ დარჩა და საზოგადოების სულის კვეთება ძირიან-ფესვიანად შეიცვალა; როდესაც რამდენისამე მამულის გაძარცვისა და გადასახადების გაუქმების შემდეგ გლეხები დაინახავენ, რომ ისინი წინანდელივით დამშეულები არიან, წინანდელივით ცინგის მსხვერპლად არიან განწირულნი, მაგრამ არც სკოლები აქვთ, არც ექიმები ჰყავთ და არც არაფერი სხვა გააჩნიათ, რის მიცემა-კი კულტურას და უფლებრივ წყობილებას შეუძლიან (ნამდვილ უფლებრივ წყობილებას, უფრჩხილებოთ!)—მაშინ გლეხებიც და მუშებიც მოუსმენენ იმას, ვინც იტყვის, რომ იმათი საჭიროებანი შეიძლება დაკმაყოფილებულ იქმნას მხოლოდ სათანდათანო ევოლიუციით, მხოლოდ თავისუფლად არჩეულ სახალხო წარმომადგენლობის ლეგალურ მოქმედებით.

„ამ გვარად, ჩვენს ტაქტიკაშია დაფარული საძირკველი ჩვენის სისუსტისა, თუ მხედველობაში აწინდელ ისტორიულ მომენტის მდგომარეობა მივიღეთ. მაგრამ იგივე ტაქტიკაა თავმდები, რომ ჩვენ მოვიჭამთ (переживемъ) როგორც სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის უკიდურეს ფრაქციებს, აგრეთვე იმათ, ვინც თავის თავს რუს სოციალდემოკრატებს უწოდებენ; ისინი თითონვე მეცადინეობენ და თითონვე გვიწმენდავენ გზას საბოლოო გამარჯვებისთვის."

ეს წერილი კაუფმანისა 22 დეკემბრის ნომერშია დაბეჭდილი. თუმცა ასე ცხადად, ასე გარკვევით და, ჩვენის ფიქრით, ასე ურცხვად, დეკემბრის აჯანყებამდე წერას ვერ ჰბედავდნენ ან ვერ ახერხებდნენ კონსტიტუციონალ-დემოკრატები, თუმცა ზოგიერთი კონსტიტუციონალისტი იმ აზრისაც კი იყო, რომ დეკემბერში მათს პარტიას რევოლიუციისთვის უნდა მიეცა მხარი, მაგრამ ერთობ პარტია სხვას ფიქრობდა და დეკემბრის აჯანყების წინადაც ჰქადაგებდა იმ აზრებსაც, რომელიც კაუფმანის წერილშია გამოთქმული. კონსტიტუციონალისტებს ან, უკეთ რომ ვთქვათ, მათს ლიდერებს გათვალისწინებული აქვთ სარევოლიუციო პარტიების განადგურება რეაქციის სიმძიმისა გამო და ემზადებიან იმ მომავლისთვის, როცა ვაკანცია გაიხსნება, რომ სიჩქაროდ დაიჭირონ ხელში ხალხის მეთაურობა და სახელმწიფო უფლება მოიგდონ ხელთ. თავის პარტიის გაძლიერებას კონ.-დემოკრატები სარევოლიუციო პარტიების სიკვდილზე ამყარებენ. კონ.-დემოკრატებს იმედი აქვთ, რომ რეაქცია და რევოლიუცია ერთმანეთს შესჭამს, ერთმანეთს დაამხობს და მათგან განთავისუფლებული რუსეთი თავის თავათ ჩაუვარდებათ პირში ბ. ბ-თ სტრუვეს, როდიჩევს, კოტლიარევსკის, მილიუკოვს, კაუფმანს და სხვებს. წესიერების პარტიასაც სძულს რევოლიუცია, მაგრამ ეს პარტია თავის სიძულვილს არა ჰმალავს, პირდაპირ გამოდის საბრძოლველად სარევოლიუციო პარტიებთან, პირდაპირ იწვევს მათ ხმალში; წესიერების პარტიის მოქმედება ამ მხრივ რაინდულია, ქველია, კონ.-დემოკრატთა პარტია-კი ქვეშ-ქვეშ დაძვრება, ჩუმ-ჩუმად დაყურყუმელავობს ამღვრეულ ზღვის ძირას და დალურსული მოელის ხელსაყრელ დროს ფართოდ გაღებულის პირით, რომელიც განუწყვეტლივ, თითქოს მექანიურად, გაიძახის: პოლიტიკური ზნეობა, პატიოსნება, ადამიანის ღირსება, ძალადობის უარყოფა, ჰუმანიური ინდივიდუალიზმი, პიროვნების ხელშეუხებლობა და სხვა და სხვა.

კონ.-დემოკრატთა პარტიის ბუნება უკვე საკმაოდ გამორკვეულია, რამდენადაც ეს ბუნება მათს მოქმედებაში ან, უკეთ რომ ვთქვათ, მათს მისწრაფებაში გამოიხატება. შემდეგს წერილში გამოვარკვევთ ამ პარტიის იდეიურს ბუნებას, რომელიც ბევრად უფრო საინტერესოა და საყურადღებო.

„ტფ. ლისტოკ"-ის გუშინდელ №-ში დაბეჭდილია ბ. ორესტ სემინის წერილი, სავსე საყვედურებით ჩვენის ინტელიგენციის მიმართ. ტფ. ქართველი საზოგადოება საოცარის გულ-გრილობით იქცევა და არაფერს ღონეს არ იღებს დასავლეთ საქართველოს შესახებაო; ისიც-კი ვერ მოუხერხებია, რომ სწეროს და ხმა მაღლა ამცნოს ქვეყანას, თუ რა ყოფაშია მშვენიერი „კოლხიდა"-ო.

ჩვენ მფარველობას ვერ გავუწევთ აქაურ ქართველ საზოგადოებას, ვერ დავიცავთ მას და ვერ ვიტყვით, რომ საყვედურის ღირსი არ იყოს. პირიქით, წინადაც არა ერთხელ გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენი ეგრედ წოდებული საზოგადოება, ჩვენი „მოწინავე კლასების" ინტელიგენცია საოცრად გათახსირებულია საზოგადოებრივ თვითმოქმედების მხრივ, უმოქმედო, ინდიფერენტი და უძლურია. მაგრამ, ამავე დროს, არ შეგვიძლია ბ. ორესტ სემინის ზოგიერთი უცნაური შენიშვნა უყურადღებოდ დავტოვოთ.

ჯერ ერთი, გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ ბ. სემინმა ტფილისში ვერაფერი გაიგო დასავლეთ საქართველოს ამბების შესახებ? ტფ. ინტელიგენციამ, ტფ. ქართველ საზოგადოების იმ წრეებმა, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ საზოგადო საქმეებთან, დაწვრილებით იციან ყოველი ის უბედურება, რაც კორტოხის მთის იქით ხდება. როგორ ვერ მოისაზრა ბ. სემინმა,—გაზეთის კაცმა,—ქართულ გაზეთის რედაქციაში მაინც შეეულიყო და იქ მოეკითხა მისთვის საინტერესო ცნობები?! ეს ისეთი ბუნებრივი ნაბიჯია, რომ ძალა-უნებურად გვიბადავს ეჭვს, რომ ვინც ასე არ მოიქცა, არც სურვებია ტფილისში რამე გაეგო. ეკითხა მაინც ვინმესთვის, ერთად-ერთ ქართულ გაზეთში სწერენ რამეს დასავლეთ საქართველოზე თუ არა? მაშინ მას ეტყოდნენ, რომ ჩვენს გაზეთში ყოველ დღე იბეჭდება მრავალი ცნობა და გამოიყენებდა როგორმე. ჩვენს გაზეთში ყოველივე ის, რასაც ბ. სემინი სწერს დასავლეთ საქართველოზე, უფრო ვრცლად იყო მოთხრობილი და ამისთვის იქითკენ გამგზავრება, შეიძლება, არც დასჭირებოდა.

გარდა ამისა, ბ. სემინს, შეიძლება, მიექცია მაშინ ყურადღება იმ უცნაურ (მეტი რომ არა ვთქვათ) გარემოებისათვის, რომ „ტფ. ლისტოკი",—ეს დღეს ერთად ერთი დამოუკიდებელი რუსული გაზეთი ტფილისში—თითქმის არაფერს არ სწერს დასავლეთ საქართველოს აწიოკების შესახებ. თუ თვითონ არ შეუძლია ცნობები იშოვოს იქიდან, ჩვენის გაზეთიდან მაინც რატომ არაფერს გადაჰბეჭდავს?! იქნება მაშინ მიმხვდარიყო ბ. სემინი, რატომ სდუმს რუსული პრესსა ქართველების შესახებ და ამდენს ყვირის სომეხ-თათართა შესახებ. პეტერბურგის გაზეთებს „ტფ. ლისტოკი"-დან ხომ მარტო სომეხ-თათრების შეტაკების ამბების ამოკითხვა შეუძლიათ?! ამასთან ისიც ხომ იცის ბ-ნ სემინმა, რომ სომეხ-თათართა ამბებსა და საქართველოს ამბებს შორის დიდი განსხვავებაა და ისე ადვილი არაა ჩვენის გაჭირვების ამბების დაბეჭდვა და იმათზე ყვირილი, როგორც სომეხ-თათართა ჟლეტაზე. ამით აიხსნება, სხვათა შორის, რომ აქედან გაგზავნილი ზოგი საჭირო დეპეშა და წერილი დღემდის ვერ დაბეჭდილა რუსულს სატახტო ქალაქთა გაზეთებში.

ყოველივე ეს და ბევრი სხვა საინტერესო ამბავი ექნებოდა ხელთ ბ. სემინს, რომ „ტფ. ქართველ ინტელიგენციისთვის მიემართნა და შეიძლება მაშინ დაფიქრებულიყო, სანამ

დასწერდა „რა დიდი განსხვავებაა სომხეთა ინტელიგენციისა და ქართველ საზოგადოების შორის“-ო.

გამიჯვნის საქმე ჩვენში

მიწის სიმცირემ, ვიწრობამ ჩვენში და აქედან წარმოშობილმა აგრარულმა საკითხმა ყველა გაალვიძა და ძალა უნებურად დააფიქრა იმაზე, თუ რა გზით მოევლება საყოველთაო მოძრაობას და გლეხთა აშკარად გამოთქმულ უკმაყოფილებას.

ეს ისეთი კითხვაა, რომ არა მგონია იყოს ისეთი ვინმე, დიდი იქნება თუ პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, მოხელე თუ მიწის მშრომელი, რომ დაფიქრებული არ იყოს და მის ასეთ თუ ისეთ გადაწყვეტაზე არა ფიქრობდეს.

ასეთ საგონებელსა და ფიქრშია ჩავარდნილი ამ კითხვასთან მჭიდროდ დაწესებული დამოკიდებულება—სახელმწიფო ქონებათა გამგეობა; ამავე განუწყვეტელ ფიქრშია ჩავარდნილი ადმინისტრაცია, სასამართლოები და სხვა.

ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა გამგეს პავლოვსკის ამას წინად განსაკუთრებული კომისია შეუდგენია მიწების გამიჯვნის საქმის მოსაწესრიგებლად, გუბერნატორთანაც იკრიბებოდნენ სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი და მცოდნე პირნი ამავე საგანზე სათათბიროთ. მკითხველის საყურადღებოდ რამდენიმე მოსაზრება უნდა მოვიყვანოთ იმის შესახებ, თუ რა ნაირად არის მოწყობილი გამიჯვნის საქმე ჩვენში და რა პირობებშია ჩაყენებული ჩვენი მემამულე, დიდია იგი თუ პატარა, გლეხი თუ თავადი.

ჩვენი ქვეყნის გამიჯვნის საქმეს ყოველთვის ემუქრებოდნენ—მას უკიჟინებდნენ, რომ იგი ნაბიჯით კი არ მიდის, მიჩოჩავსო! ოცდა ათისა და ორმოცის წლის წინად დაწყებული ზოგი საქმე დღესაც წარმოებაშია და ვინ იცის როდის გათავდება!

რა აფერხებს გამიჯვნის საქმეს? რა ელობება წინ? აი კითხვები, რომელნიც ძალა უნებურად იბადებიან, როცა კაცი გამიჯვნის საქმეს დაუფიქრდება.

უმთავრესი მიზეზი გამიჯვნის დაბრკოლებისა, ყველამ კარგად იცის, სახელმწიფო ქონებათა უწყებაა. მამულების გამიჯვნა, როგორც მოგეხსენებათ, ზაფხულობით რამდენსამე ადგილს ხდება. დაინტერესებულ პირთა რიცხვი წვრილ მემამულეთა სიმრავლის გამო დიდია და ამავე დროს გამიჯვნა ისე არ ხდება, რომ სახელმწიფო ქონებათა აგენტი არ იღებდეს მონაწილეობას გამიჯვნის საქმეში ღმერთმა კარგი მოგცეს, თუ ეს აგენტი საქმის მცოდნეა და შეგნებული აქვს როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო პირთა ინტერესები, მაგრამ უბედურებაც სწორედ ის არის, რომ სახელმწიფო ქონების აგენტი ან მწერალია ან და დაბალი მოხელე. კაცი, რომ დაუკვირდეს, სხვანაირად საქმის მოწყობა შეუძლებელია. გამიჯვნა რამდენსამე ადგილს ხდება და გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგეობას იმდენი მცოდნე პირი არა ჰყავს, რომ ყველას გასწვდნენ და ამიტომ, ძალა უნებურად, მწერლებს და ხანდახან „სტოოლეუბისაც“ გზავნის თავის ინტერესების დასაცავად.

ინტერესების დაცვა ამ „აგენტებს“ თავისებურად ეყურებათ. ისინი ბრალიანსა და უბრალო მამულებზე სახელმწიფო ქონებათა გამგეობის სახელით დავას აცხადებენ, იმას-კი არ დაგიდევენ, რამდენად საფუძვლიანია ეს დავა და რა უსიამოვნებას და ხარჯს აყენებს იმ მესაკუთრეებს, რომელნიც დავის გამოცხადების გამო მამულზე საკუთრების უფლებას ჰკარგავენ და სამაგიეროდ ეძლევათ უფლება ათი და ოცი წელიწადი იდავონ და მერე დაიმტკიცონ მამული.

ვისაც-კი ჰქონია შემთხვევა დასწრებისა, ის ადვილად მიხვდება რამდენ ხარჯსა და დროს ითხოვს ასე უსარგებლოდ გამოცხადებული დავა და რამდენი მესაკუთრე, გლეხია იგი თუ თავადი, უკიდურეს სიღარიბემდე მიიყვანა.

იმის დასამტკიცებლად, თუ რა „უპრაგონოთ“ აცხადებენ აგენტები დავას, ორ მაგალითს მოვიყვან: 5—6 წლის წინად შორაპნის მაზრის აღმოსავლეთ ნაწილში, მოლითის მახლობლად, მოსაკუთრეთა თხოვნით ერთი აგარაკის გამიჯვნა დაიწყო. მოვიდა მიწის მზომელი, დაიბარა დაინტერესებული პირნი მათ შორის სახელმწიფო ქონებათა აგენტი და შეუდგა საქმეს. პირველში საქმე კარგად მიდიოდა—მონაწილენი მცირე ლაპარაკის შემდეგ შეთანხმდნენ და მიწის მზომელმაც მოინდომა საქმის ამისდაგვარად დაგვირგვინება. სახელმწიფო ქონებათა აგენტი მიყუჩებული იყო—დავის განცხადების მიზეზი არა ჰქონდა; მიწის მზომელის მუშაობა ამის გამო არა ჩვეულებრივის სიჩქარით მიდიოდა. ერთ მშვენიერ დღეს, როცა მთელი ხალხი მიწის მზომელთან ერთად გასასინჯავად იყო წასული, ერთის გლეხის კარმიდამოს მიაწყდნენ, აგენტმა რაღაც ეშმაკად გლეხს ჰკითხა—სახელმწიფო თუ საბატონო გლეხი ხარო? გლეხმა გულუბრყვილოთ უპასუხა, რომ თუმცა მე სახელმწიფო გლეხათ ვიითვლები, მაგრამ აქ ნასყიდ ადგილზე ვდგევარო და ჩემი სახელმწიფო ნადელით ჩემი სახლის კაცები სარგებლობენო. ეს იყო და ეს: აგენტმა დავა განაცხადა და დალაგებული საქმე აიწეწ-დაიწეწა—საცა წავიდა მიწის მზომელი—ყველგან აგენტმა დავა განაცხადა და სასიკეთოთ დაწყებული საქმე დღესაც გაუთავებელია და ვინ იცის როდის მოესწრება გათავებას! კერძო ლაპარაკში აგენტმა აღიარა უხერხულობა და უსამართლობა თავის საქციელისა, მაგრამ თავის გასამართლებლად მოჰყავდა ინსტრუქცია, ურომლოდაც ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო.

ეს ერთი მაგალითი იმისი, თუ რა უბრალო გარემოება ხდება საქმის გაჭიანურების მიზეზად. ეხლა მეორეს მოგახსენებთ.

სამეგრელოში ირჩეოდა დიდი სამიჯნო საქმე. ახლო-მახლო სოფლებიდან 60 კაცი იყო გამოწვეული მოწმად. სამოც კაცში კერძო მემამულეებმა ათი აირჩიეს გამოსაკითხავად. სახელმწიფო ქონებათა აგენტმა შესაძლებლად ვერ ნახა დასახელებულ ათ კაცის მოწმად ცნობა, რადგან, განაცხადა მან, ათივე ხაზინის მოპირდაპირენი არიანო მამულის სადავო საქმეში. ლაპარაკი რომ არ გაგვიგრძელდეს, ზემოხსენებულ 60 კაცში მარტო აღმოჩნდა ერთი იმისთანა, რომელსაც ხაზინასთან სადავო არა ჰქონდა-რა.

ყველა დაინტერესდა ამ ერთი კაცით და ჰკითხეს—რანაირად გადაურჩი ხაზინასთან დავასაო მე ბატონო,—უპასუხა არა ჩვეულებრივმა გლეხმა,—ღმერთმა მიშველა, მიწის მზომელი ჩემის მამულის გასამიჯნავად ერთ დღეს ძალიან ადრე მოვიდა. „აგენტმა“ იმ დღეს დაიგვიანა და ჩემი მამული უდავოდ ჩაიწერა. ეს რომ მოხდა „აგენტიც“ გაჩნდა; ბევრი იჯავრა, განცხადებები შეიტანა მიწის მზომელთან, მაგრამ ვეღარა გააწყო-რა და ამიტომ ხაზინასთან დავისაგან ღმერთმა მიბრალაო“.

გამიჯვნის საქმეს არანაკლებად აბრკოლებს კერძო პირთაგან დავის უმიზეზო გამოცხადება. არიან იმისთანა ავანტურისტები, რომელთაც იციან, რომ არსებულ კანონმდებლობისაგან დავის განცხადება, „დასპორვა“, როგორც თითონ ამბობენ, აკრძალულია, რაც უნდა უსაფუძვლო იყოს იგი და კანონით არც ისჯება ასეთი საქციელი. სარგებლობს ამით ყოველი უსაქმური და ზნე-დაცემული კაცი და სადაც კი მისწვდება, ყველგან დავას აცხადებს იმ აზრით, რომ მამულის პატრონს თითო-ოროლა მანეთი დასცინცლოს, დავაზე ხელი აიღოს და მერე სამუდამოდ მოსცილდეს.

სალი.

(დასასრული იქნება)

დასავლეთ საქართველოში

სამეგრელო. რეაქციის კარტეხილი მთელის თავისი ძლიერებით თავს დასტრიალებს სამეგრელოს და განაცარმტვერებას უქადის. კაცის გონებას არ ძალუძს და გრძნობაც არ დაემორჩილება დაწვრილებით და გულდასმით აღწეროს ქვეყანას ჩვენი ძალით მაცხონეთა „საქმენი საგმირონი“. უკვე მოგეხსენებათ, რომ იანვრის პირველ ნახევრიდან სამეგრელოში შემოვიდა ჯარი. რომელსაც მეთაურობს ბ-ნი ჩიქოვანი. ამ ჯარის სისასტიკე იმდენად თავზარ დამცემია, რომ მსგავსი მაგალითის ნახვა ძნელია. ცეცხლი და მახვილია გამეფებული იქ; სადაც კი დროებით თავისუფლების შუქმა შეაშუქა. გაიძარცვა და ერთიანად გადაიბუგა სენაკი. გადაიწვა ნოქალაქევსა და ზანძაში ოცამდე მოსახლე. შეიპყრეს მალაქია დიხამინჯია. არ დაინდვეს უმწეო ებრაელები და დიდძალი საქონელი მოსტაცეს ურიათკარში. შემდეგ ესტუმრნენ ნოღალევს და აქედან პრინცესა მიურატის რეზიდენციას ს. სალხინოს. კაი ხანია პრინცესა აქედან გაიქცა და თავის სასახლე ღვთის ანაბარად დასტოვა, ხალხმა სასახლეს დარაჯები დაუყენა. საუბედუროდ, ხულიგანებმა შემთხვევით ისარგებლეს და აუარებელი ძვირფასი ავეჯეულობა და ნივთები გაიტანეს სასახლიდან. ხალხმა შეიპყრო ესენი, ნივთები უკან მოატანინა და ჩამოვიდა რა ჩიქოვანი, წარუდგინა.

ჩიქოვანმა 28 იანვარს ს. სალხინოში შეჰკრიბა სამი საზოგადოება. ყველანი დააჩოქა და ერთ საათზე მეტს დარიგებას აძლევდა. ბ. ჩიქოვანს თან ახლავს ნიკო დადიანი, რომელსაც აქეთ ძალიან კარგად იცნობენ. სხვათა შორის, ხალხს სთხოვენ, დაუყონებლივ გამოიღონ გადასახადები. ამაზედ ხალხში ვიღაცამ უკმაყოფილება განაცხადა. ბ-ნმა ჩიქოვანმა მიიხმო ეს „ურჩი ყაძახი“. უფროსის წინ წარსდგა გაძვალტყავებული, გაძარცული და ძონძებში გახვეული შრომის შვილი; ამ კაცმა თამამად განუცხადა, რომ გადასახადების გადახდა არ შემიძლია, რადგან სულის იქით არაფერი გამაჩნია, ერთი ციდა ადგილი არ მაბადია და სიცივით და შიმშილით მეხოცება ტიტლიკანა ცოლ-შვილიო. მთავრობის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ იმათხოვრე და თავს დაირჩინე. „მე მათხოვრობა არ მინდა, საკმაო მიწა მომეცით და საკუთარის ძალ-ღონით ცოლშვილსაც დავარჩენ და თქვენც დაგაკმაყოფილებთო“, მიუგო გლეხმა.

აქედან ჯარი სამხედრო წესით სენაკისკენ გაეშურა. გზაზედ ნაქალაქევსა და ძველ სენაკში პურმარილით და თეთრ დროშებით შეჰხვედრიან. ამ დღეებში ზუგდიდისკენ ყაზახების რაზმი გაემგზავრა. ზუგდიდლები თვისის დროშით ყაზახებს გზაში შეჰგებებიან. თვით ზუგდიდში მათთვის სადილი გაუმართავთ და გამასპინძლებიან. ამგვარად აქვთ რეაქცია. ერთი გულშემზარავ ამბის გაგებას ვერ ვასწრებთ კარგად, რომ მეორე უფრო შემაძრწუნებელი ამბავი მოაქვთ. ხალხი მიყუჩდა, ძრწის და გმინავს. პირველად ხალხმა გადახიზვნა იწყო, მაგრამ ბოლოს შესწყვიტა, რადგან არც ერთი კუთხე, არც ერთი სოფელი უზრუნველყოფილი არ არის. დღეს, როდესაც ხანმოკლე თავისუფლების მზე ჩაესვენა, ჭოტი, ბუ და სხვა ამისთანები ამოძვრნენ თავიანთ სოროებიდან და მათი გულსაკლავი ხმა მსმენელებს გულს უწყლულებს, ამდენ ხანს მიჩქმალულმა ვაჟბატონებმა თავი წამოჰყვეს, ხალხის გულშემატკივრობას იჩემებენ და არა-ჰკითხე მოამბესავით დარიგებას აძლევენ. ბევრი მათგანი ნიშნსაც უგებს.

ზუგდიდის მაზრაში ღ. ხობში გადაიწვა ოცდა ათამდე დუქანი. ღამე თავს დაესხნენ ალექსანდრე ჯორჯიკიას სახლს, სადაც შეიპყრეს ორი კაცი და ალექსანდრეს 16-17 წლის შვილი. თვით სახლის მამამ გაქცევა მოახერხა. გზაზედ ახალგაზრდა ჭაბუკი ჯორჯიკიას ვაჟიც სალდათებს ხელიდან გაუსხლტა. ჯორჯიკიას კარმიდამო ფერფლად აქციეს. ზუგდიდში გადასწვეს სპირიდონ კედიას და გაგუას სახლები.

ტეხურის-პირელი

გურია. გურული ანდაზაა „ვისაც სიყმაწვილეში არ უნახივარ, ღმერთმა სიბერეშიაც ნუ ანახოს ჩემი თავიო“. ეს ანდაზა მთლად გურიაზე ითქმის ეხლა. ვისაც გურულები 9 იანვრამდის არ უნახავს, ღმერთმა ახლაც ნუ აჩვენოს, თორემ სულ ცალბი წარმოდგენა ექმნება გურულებზე. ხალხი ადამიანებს კი არა, ადამიანის ჩრდილებს წააგავს. იმისდა მიუხედავად, რომ გურულები ასრულებენ ყოველგვარ მოთხოვნილებას, მაინც არავინ არ არის დარწმუნებული, რომ არ გადასწვავენ და არ ააწიოკებენ. მაგალითად ავიღოთ ის, რომ ნაგომარელები მოდიოდნენ პურით, მარილით, ხატებით და ფიცით, მაგრამ ნაგომარი სრულიად გადასწვეს.

დავიწყოთ თავიდან. 18 იანვარს გწერდით, რომ ხვალ აქაურებმა ფიცი უნდა მიიღონ მეთქი. მართლაც მოქალაქეთ მეორე დღეს მიიღეს ფიცი შემდეგის წესრიგით. ხალხი მოვიდა ნაციონალურისა და თეთრის ბაირაღებით, ხატებით, საეკკლესიო დროშებით და ხელმწიფის სურათებით შემოსილის მღვდლებისა და აქაურ ქალაქის თავის ხუნდაძის წინამძღოლობით. მოედანზე სამ კუთხივ გამწკრივებული იყო ჯარი, მეოთხე მხარეს კი იდგა ზარბაზნები. როცა მოქალაქენი მოვიდნენ, ერთ მხარეს ჯარი მიიწ-მოიწია და შეუშვეს ხალხი შუაში. აქ მიიღეს ფიცი და გადასცეს ის ადრესი, რომელიც უკვე დაბეჭდილი იყო გაზეთებში. ფიცის შემდეგ მოქალაქეებმა მღვდლებით, ხატებით, სურათებით და დროშებით დაიარეს ოზურგეთის ქუჩები. წინ მიუძღვოდა ხერსონის პოლკის ორკესტრი, რომელიც უკრავდა ჰიმნს „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა“. მეორე დღეს ამნაირისავე წესით მოვიდნენ ქალაქის საზღვარში მცხოვრებნი, მესამეს მოვიდნენ სოფლის სამი საზოგადოების—დვაბზუის, ბახვის და შემოქმედის მცხოვრებნი, შემდეგ ლეხოურის, გურიანთის და სხ. ახლო-მახლო მდებარე სოფლები. გვიანობდნენ ჩოხატაურისა და რამდენიმე საზოგადოების მცხოვრებნი. ამავე დროს პოლკოვნიკი კრილოვი თხოულობდა, ჩოხატაურელებმა ორასი თოფი უნდა წარმოადგინონო. შეწუხებული ხალხი ელოდა ჯარის მოსვლას. ქალები და ბავშვები ტყესა და მთებში არიან დღემდის შეხიზნულნი. 28 იანვარს პოლკოვნიკი კრილოვი მთელის თავის ჯარით და ზარბაზნებით გაემართა ჩოხატაურისაკენ. ნაგომარს რომ მიახწია, გადაიწვა ნაგომარზე სახლები. ეს სახლები თითქმის ცარიელი დახვდა. დუქნებს კი ამ ღამეს ხელი არ ახლეს. ჯარი ნაგომარს ზევით დაბანაკდა. და აი სწორედ ამ დროს გაჩნდა სოფელ აკეთში ქურდობა სხვა და სხვა სანოვაგისა და ნივთებისა, რომელსაც მოჰყვა სახლების წვაც. ერთ სახლში დაიწვა შეშლილი მორჩილაძე, რომელიც დამალული ყოფილიყო. მოჰკლეს შტიკებით 80 წლის მოხუცი ყათრან ჯაყელი. აკეთში სამოცამდის ოჯახია გადამწვარი. სხვათა შორის, დასწვეს თავადაზნაურთა წინამძღოლად ყოფილ თავ. სიმონ გუგუნავას სახლ-კარიც. 29 იანვარს ნაგომართან დაბანაკებულ კრილოვს მოუვიდა დეპეშა, რომლითაც ხელმწიფე მადლობას უცხადებდა ოზურგეთის და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს უქვეშევრდომილეს გრძნობისათვის. კრილოვი მაშინვე აიყარა და გამოსწია ოზურგეთისაგენ. აქეთობას სრულიად გადაიწვა ნაგომარში დარჩენილი დუქნებიც. გზა და გზა ყაზახები დაიფანტნენ. დამწვარი აღმოჩნდა სახლები აგრეთვე გზის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში—ბახვსა, დვაბზუსა და მელექედურში. ბევრი გაძარცული და გაქურდული აღმოჩნდა.

ყველა ამის შემდეგ ჯარი ისევ ოზურგეთში ჩამოვიდა. მესამე დღისთვის კრილოვმა დაიბარა ის საზოგადოებანი, რომელთაც ფიცი მიიღეს. დიდ-ძალი ხალხი, რამდენიმე ათასი კაცი, შეგროვდა ოზურგეთის მოედანზე. გამწკრივდა ჯარიც, ზარ-

ფელეტონი

მიწით სარგებლობის უფლება *)

ჰერბერტ სპენსერისა.

(თავისუფალი თარგმანი ინგლისურიდან ი. ნაკაშიძისა).

(დასასრული **)

„შეიძლება ზოგიერთმა აჩქარებულად იფიქროს, კერძო კაცთა შორის სამართლიანად უნდა გაიყოს დედამიწა და მათ საკუთრებად გადაიქცესო. განა არ შეუძლიანთ ნებაყოფლობით შეთანხმდნენ და გაჰყონ ერთმანეთში ეს დედამიწაო? იგი რომ ყველას ხვდა მემკვიდრეობით, საერთოდ ყველანი თანამემკვიდრენი არიან, და ნუ თუ ვერ დაჰყოფენ მიწას სწორ ნაჭრებად და თვითეულ კაცს ვერ მიათვისებენ როგორც მის სრულ საკუთრებას“?

„ამაზე შეგვიძლიან მხოლოდ ის ვუპასუხოთ, რომ დედამიწის სხვა და სხვა ნაწილების ფასის გამორკვევა ძნელი საქმეა. ადგილები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმის და მიუხედავად, თუ რამდენად მოსავლიანია მიწა, რანაირი მისვლა-მოსვლა და გზებია, რა ღებ-მიცემობაა, რა სიშორეზეა განათლების ცენტრიდან, ამა თუ იმ ქალაქიდან და სხვა. ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინება და იმისდა გვარად ადგილის დაფასება ჩვენ შეძლებას აღემატება“.

„მაგრამ ყველა ამ მოსაზრებას თავი დავანებოთ და ჩვენ თავს ვკითხოთ: ვინ უნდა იყვნენ ის ბედნიერ დღეს დაბადებულნი, რომელთაც დედამიწა საკუთრებად უნდა ჰხვდეს? ყველა მოწიფული ვაჟკაცი და ყველა ის, ვისაც დანიშნულ დღეს ოცდა-ერთი წელიწადი შეუსრულდა? კარგი და პატიოსანი; რაღა შეხვდება იმათ, რომელნიც სრულ-წლოვანობას მეორე დღეს მიაღწევენ? იქნება იმ აზრისა იყოთ, რომ მიწა ნაწილ-ნაწილად უნდა ხვდეს თვითეულ მამაკაცს, ქალსა და ბავშვს. კარგი და რაღა შეხვდებათ იმათ, რომელნიც შემდეგ წელს გაჩნდებიან? რა ბედი ეწევა იმ შვილებს, რომელთა მშობლები გაჰყიდიან თავ-თავის ხვედრ მიწას და გაფლანგავენ ფულს? ეს უმიწა-წყლოდ დატოვებული ხალხი ხომ მოხსენებულ ზოგანითა ჯარს შეადგენს, რომელიც სხვისა მოწყალებით ცხოვრობს და ბატონ-ყმობის უღელშია ჩაბმული. ნუ თუ ამ ხალხის ამგვარ ყოფაში ჩაგდება ადამიანთა თანასწორ თავისუფლების შებღალვა არ არის“?

„ამიტომ, რადგან ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ამ გვარად გადავწყვიტოთ ეს საკითხი, რადგან არ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ღმერთმა კაცთა ერთ მოდგმას განსხვავებული შეღავათი მიანიჭა, შემდეგ მოდგმათა უფლებას კი ფრთა შეუკვეცა; რომ დანიშნულ ვადის შემდეგ დაბადებულთ მონობა უნდა ჰხვდეს წილად,—ამიტომ უნდა სავსებით უარვყოთ დედამიწის ამგვარი უსამართლო დაყოფა.

„ზოგიერთები, რასაკვირველია, იტყვიან: უკიდურეს მოძღვრებას, უმწვერვალეს სიმართლეს ჰქადაგებთ და იმიტომ გეძნელებათ დედა-მიწის შესახებ საკითხის გადაწყვეტაო. ზომიერ და გონიერ სიმართლეს რომ მისდიოთ, ადვილად გაარიგებთ ამ საქმესაო. ბევრს ერთობ უყვარს ამგვარი აზროვნება: სძაგთ ყველაფერი, რასაც გადაჭრილ მსჯელობის ხასიათი აქვს. იმათ რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, არც ერთი უკიდურეს აზრს სიმართლე არ მიუძღვის, ამიტომ ჭეშმარიტების სადგური ამ უკიდურესობათა შუა-ალაგას უნდა ეძებოთო. ისინი ყოველთვის სცდილობენ „ჰო“ და „არა“-ს შორის ზავი ჩამოაგდონ. „თუ“, „მაგრამ“, „დაახლოვებით“, „ერთისა და მეორეს მხრით“,—აი მათი საყვარელი პაწ-პაწია სიტყვები. ისეთი ღრმა რწმენა აქვთ თავის გონიერ და ზომიერ შუა-გულ ჭეშმარიტებისა, რომ დიდებულ მოციქულსაც უარჰყოფენ, თუ უცაბედად მათ თვალთა წინაშე გამოცხადდება და რაიმე გადაჭრილ სიმართლეს აღიარებს. სცადეთ და ერთი ჰკითხეთ, როგორ ბრუნავს დედა-მიწა თავის ღერძზე: აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ თუ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ,—და უეჭველად შემდეგ პასუხს მიიღებთ: თუ არ ვსცდებით, იქითაც და აქეთაც უნდა ბრუნავდეს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, არც იქითა და არც აქეთა-“ო. სწორედ საეჭვოდ მიგვაჩნია, ეს ხალხი იმაზედაც დავითანხმოთ, რომ მთელი ნივთი და ნივთის ერთი ნაწილი ერთმანეთს არ უდრის. ისეთ უცნაური გემოვნების ვაჟბატონები გახლავან ესენი, რომ თუ გსურთ აამოთ, ჭეშმარიტება სხვადასხვა ნაირ სიყალბით უნდა შეაზავოთ. მათ შეგნებას აღემატება ყოველი სწორი ნათელი, გარკვეული და უნაკლულო სიმართლის კანონი. ამიტომ როცა ჩამოვარდება ხოლმე საუბარი ისეთ ღრმამნიშვნელოვან საგნებზე, რომლის შესახებაც ამ ჟამად ჩვენც ვმსჯელობთ, ეს ხალხი ძალიან მეცადინეობს, რომ რამენაირად თავის ვიწრო მსჯელობის კალაპოტში ჩააყენოს ეს საკითხი, მოადუნოს, დაამციროს, ფრთა შეუკვეცოს და პროტესტს უცხადებს იმათ, რომელნიც უნაკლულო, გადაჭრილ ჭეშმარიტებას ეძებენ ცხოვრებაში“.

„უნდა გავახსენოთ ამ რჯულის ხალხს, რომ ზნეობრივი ჭეშმარიტებაც ისეთი ცხადი, სწორი და უცვლელი უნდა იყოს, როგორც მათემატიკაში ორჯელ-ორი ოთხია. იმ ზნეობრივ საკითხშიაც, რომელსაც ჩვენ ვეხებით, მხოლოდ ერთი გადაჭრილი პასუხი შეიძლება: ან „ჰო“ და ან „არა“. ადამიანთ ან აქვთ უფლება დედა-მიწა კერძო საკუთრებად გახადონ, ან არა აქვთ ეს უფლება. საშუალო პასუხი აქ შეუძლებელია. ერთადერთ გარკვეულ დასკვნას უნდა დავადგეთ. სანახევრო ჭეშმარიტებას ვერ გამოუდგებით, ცხოვრების ვითარება სასტიკად ითხოვს ჩვენგან გადაჭრილ პასუხს.

თუ ადამიანთ არა აქვთ ამ გვარი უფლება დედამიწის საკუთრების შესახებ, მაშინ ჩვენთვის საჭიროც აღარ არის ყველა ის საბუთი, რომელიც ამ წერილში მოყვანილი გვქონდა. თუ აქვთ ამგვარი უფლება—მაშინ უნდა ვიცნათ იგი დაურღვეველ, საუკუნო და წმინდა უფლებად. თუ აქვთ უფლება მიწა ადამიანის საკუთრებად გამოაცხადონ, მაშინ ყოვლად სამღვდელო არქიეპისკოპოსი ლიძისა დიაღაც სამართლიანად იქცევა, როცა მგზავრებს ბენ-მაკდუის მიდამოების დასათვალიერებლად არ უშვებს; ატოლის ჰერცოგიც მართალია, როცა მდინარე ტილტის ქალებში არავის არ აჭაჭანებს; ჰერცოგ ბეკლეუც ჩინებულად იქცევა, როცა პროტესტანტებს ადგილს არ აძლევს თავიანთ ეკკლესიის ასაშენებლად და რუტერლანდის ჰერცოგიც, როცა შოტლანდიის გლეხებს სდევნის და მათ ნასახლარზე თავის საქონლისათვის ბაკებს აკეთებინებს. თუ აქვთ ადამიანთ უფლება დედამიწაზე, მაშინ რომელიმე მამულის, ვთქვათ ჯერსეისა ან გერნსეის, ერთად ერთი მესაკუთრე სრულის სიმართლით მოიქცევა, როცა ამ მამულში მცხოვრებთათვის სხვადასხვა ნაირ სავალდებულო დადგენილებათ გამოსცემს, მაგალითად, თავის ადგილიდან აჰყრის ყველას, ვინც მემამულეს სარწმუნოებას არ აღიარებს, იმის ენაზე არ ილაპარაკებს, მისდა საამოდ პატივს არ სცემს, მისგან ნაბძანებ ტანისამოსს არ ატარებს და ყველა იმ ბრძანებას არ ემორჩილება, რომელსაც მემამულე გამოაცხადებს. თუ-კი ადამიანთ აქვთ უფლება დედამიწის შესახებ, მაშინ ძველი წესის დამცველ უკიდურეს კონსერვატიულ დასს დიაღაც უფლება აქვს გამოაცხადოს, რომ ყველა ქვეყნების კანონიერი მართვა-გამგეობა მესაკუთრეების—მემამულეების ხელში უნდა იყოს; რომ ხალხს შეუძლია მხოლოდ მემამულეების ნებართვით იცხოვროს ამ ქვეყნებში, მაშასადამე, მემამულეების გამგეობას უნდა დაემორჩილოს და მათ მიერ შემოღებულ დაწესებულებებს პატივი სცესო. ამგვარ საბუთებისა და წესწყობილების წინააღმდეგ ერთი სიტყვაც არ გვეთქმის, რადგან ყველა ეს პირდაპირი შედეგია იმ თეორიისა, რომელიც ამტკიცებს, რომ მიწა კერძო საკუთრებად უნდა იქნას აღიარებული. ამ საბუთების უკუგდება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა თვით თეორიას უარვყოფთ.

მართალი რომ სთქვას კაცმა, დღეს კაცთა შორის არც არის შეურყეველი რწმენა, რომ მემამულეთა საკუთრება ხელმიუკარებელია. თუმც კანონით ცნობილია ეს საკუთრება, მაგრამ იმავე კანონის ძალით მემამულეს ჩამოართმევენ ხოლმე ადგილს, თუ დასჭირდათ იგი რაიმე საზოგადო სარგებლობისათვის, მაგალითად, არხის, გზატკეცილის ან რკინის გზის გასაყვანად. მიწის პატრონს არც-კი ჰკითხავენ, თანახმაა იგი თუ არა, მხოლოდ უფლებას აძლევენ მოითხოვოს, რომ ზარალი უზღონ. როგორ უნდა გვესმოდეს ჩვენ ყველა ეს? ამგვარი მოქმედება ან სამართლიანია ან უსამართლო. საზოგადოებას ან უნდა ჰქონდეს უფლება ჩამოართვას მემამულეებს იმდენი მიწა, რამდენიც მას დასჭირდება, ან მემამულეთა უფლება ხელ-შეუხებლად უნდა იქნას აღიარებული და სა-

---

*) social statics, of Herbert speucer.

**) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2999.

ზაზნენიც. კრილოვმა აქ ყრილობას წაუკითხა ხელმოწერებული დეპეშა. შემდეგ ზარბაზნები დასცალეს. ზარბაზნების ხმამ ახლომახლო მცხოვრებთ გულები დაუხეთქა. ეგონათ, სულ დასწყვიტეს ამოდენა ხალხიო. გუშინ მოვიდა ამაღლების და ფარცხმაჯვარისმის საზოგადოება. მოედანზე დახოქილებს ფიცი მიაღებინა. შემდეგ კრილოვმა გამოუცხადა, თუ ყველა მოთხოვნილებას ასრულებთ, მე ვიქნები თქვენი მფარველი და ვერავინ ვერას დაგაკლებთ. ცოლშვილი მიიყვანეთ შინ და იცხოვრეთ მშვიდობიანადაო. ორივე საზოგადოება ერთი ვერსის მანძილზე გააცილეს მუსიკით, რუსული ჰიმნის დაკვრით.

დღეს უნდა მოვიდნენ ჩიხატაურისა, ხიდისთავისა, სურების და ასკანის მცხოვრებნი. აქაური მხედრობა ძლევა-მოსილი დააქროლებს ცხენებს და დასეირნობს მოედანზე. მუსიკა უკრავს ყოველ დღე, მაგრამ მოსეირნენი არსად არიან..

დატუსაღებული ბევრია. ამ ორი დღის წინ გაისტუმრეს ქუთაისის ციხეში აქაური საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი—სიმონ გრიაზნოვი და სხ...

ლეხაურის საზოგადოებამ მისცა რამდენიმე კაცი, რომელთაც ქურდობა და ავაზაკობა ჰბრალდებათ. **დამსწრე.**

ახალი ამბავი

◆ **„გრანდ-ოტელის საქმე“.** მკითხველთ უწყიან, რომ წარსულ ზაფხულს „გრანდ-ოტელის“ სასტუმროში დაიჭირეს რამდენიმე ახალგაზრდა ყუმბარებით. საქმის გამოძიება უკვე დამთავრდა და მთელი მასალა გადაეცა ტფ. სასამართლო პალატას რომელიც საქმეს გაარჩევს 15 მარტს წოდებათა წარმომადგენლების თანდასწრებით. ბრალი ედება ექვს კაცს: დავით ნიკოლოზის ძე კაჰაურს, კასპარ ბეიგარის ძე კაჰაროვს, მიო მოსეს ძე პავლიაშვილს, ალექსანდრე პავლეს ძე ბასტრიჩევს, ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ხუდადოვს და ალექსანდრე წკიპურიშვილს. ბრალი ედებათ კავკასიის საპოლიციო ნაწილის უფროსის გენ.-მაიორ შირინკინის მოკვლის განზრახვაში. ყველა ზემოაღნიშნული პირნი, გარდა ვლ. ხუდადოვისა, რომელიც ეხლახან გაანთავისუფლეს, მეტეხის ციხეში სხედან. ამ საქმის გამო მოწმედ პალატაში დაბარებულია 46 კაცი.

◆ **სამთო მრეწველების წარმომადგენელნი სათათბიროში.** სამხრეთ-რუსეთის სამთო მრეწველობის კრების საბჭოს თავმჯდომარემ ამას წინად შეატყობინა შავი ქვის კრების საბჭოს თავმჯდომარეს ზდანოვიჩს, სამრეწველო კრებების საბჭოებმა განიზრახეს შუამდგომლობის აღძვრა, რომ მათ მიეცეს უფლება საკუთარი წარმომადგენელი იყოლიონ სახელმწიფო სათათბიროში და თუ თანახმა ხართ ამ განზრახვისა, თქვენი აზრი შეგვატყობინეთო. ბ-ნმა ზდანოვიჩმა საბჭოს სახელით თანხმობა გამოაცხადა იმ პირობით, რომ კავკასიაში სამრეწველო კრებებს მიეცეთ უფლება ორი წარმომადგენელი ჰყავდეთ სახელმწიფო სათათბიროში: ერთი ნავთის მწარმოებელთაგან, ხოლო მეორე—სხვა სამთო დაწესებულებათაგან.

◆ **სწავლის განახლება უმოსწავლეებოდ.** 1 თებერვალს, გორის სასულიერო სასწავლებელში, გენერალ-გუბერნატორის ბრძანების თანახმად, დაიწყო სწავლა, მაგრამ დღემდის მოსწავლენი არ შეგროვილან. თითო ოროლა მოსწავლე თუა კლასში, თორემ უმრავლესობა, როგორც სჩანს, სასწავლებელში მოსვლას არ აპირებს.

◆ **ახალი ქართული წიგნაკი.** რედაქციას მოუვიდა—„როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენელთა არჩევა“, ბაკურცევისა, გამოცემა „გუთნისა“ № 1. წიგნაკი სუფთად და ლამაზად არის გამოცემული და ღირს სულ ორ კაპეიკად.

◆ **დათხოვნა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამხედრო უფროსმა მოსამსახურეთა და მუშათა დათხოვნის შესახებ დღემდე გამოსცა შვიდი ბრძანება ამ ბრძანებებით დაითხოვეს სულ 825 კაცი. უკანასკნელ ბრძანებით დაითხოვეს 123 კაცი; აქედან ქართველი 71-ია, რუსი 22 და სომეხი 18.

◆ **ნამესტნიკის რწმუნებული ბაქოში.** რუსულ გაზეთების სიტყვით, ნავთის საქმეების საწარმოებლად ბაქოში ნამესტნიკი თავის რწმუნებულად ჰგზავნის საბჭოს წევრს ჟუნკოვსკის. ამ საქმისთვის ჟუნკოვსკის თავმჯდომარეობით შესდგება განსაკუთრებული კომიტეტი. ჟუნკოვსკის წლიწადში ჯამაგირად ექნება თექვსმეტი ათასი მანეთი.

◆ **თეატრის გაჩხრეკა.** გუშინ 9 იანვარს, დილის 10 საათიდან, 15 ჯარის კაცი სამის აფიცრის მეთაურობით შეუდგა ტფილისის სახაზინო თეატრის გაჩხრეკას. რადგანაც თეატრის ერთი კუთხეც გაუსინჯავ-გაუჩხრეკავი არ გაუშვეს, ჩხრეკა შუადღის 12 საათამდე გაგრძელდა, რამაც ხელი შეუშალა ქართულ წარმოდგენის საქმეს. გაჩხრეკის გათავებამდე არავის უშვებდნენ ბილეთების შესაძენად და ბევრი კიდეც აღარ მივიდა წარმოდგენაზე დასასწრებლად.

◆ **ფოსტის მოხელეთა დათხოვნა.** საფოსტო უწყება რკინის გზაზე ნაკლებ არ ითხოვს მოხელეებს. ისე დღე არ გავა, რამდენიმე კაცი არ დაითხოვონ. არაფერს არ აქცევენ ყურადღებას, არც სამსახურის ხანგრძლივობას და არც სხვა რამეს. საკმაოა მცირე რამ ეჭვი, უმეტეს შემთხვევაში უსაფუძვლო, რომ მოხელეს ქუჩაში უკრან თავი. ბაქოში დაითხოვეს ორმოცი კაცი. ერევანში რვა, აქედან ქართველი ხუთია, სომეხი ორი და რუსი ერთი. როგორც ეტყობა, არც უფროსების საქმე უნდა იყოს კარგად. მიდიან სამსახურიდან კანტორის უფროსები ქუთაისისა—რიაბჩინსკი და ბაქოსი—მუსელიუსი. ხმა დადის, რომ მიდიან აგრეთვე ოლქის უფროსი ლინდენი და იმისი თანაშემწე ივანოვიო.

◆ **ნავთის მწარმოებელთა კრება.** 17 თებერვლისთვის ბაქოში, ინჟინერ ჩენგერის თავმჯდომარეობით, დანიშნულია ნავთის მრეწველთა კრება. კრებამ უნდა გადასწყვიტოს საფუთო გადასახადის გადიდება და აგრეთვე გადასდოს ფული სამრეწველო რაიონში ახალ პოლიციის შესანახად.

◆ **ახალი თანამდებობა.** როგორც შევიტყეთ, ტფილისის გუბერნიაში არსდება სახალხო სასწავლებლების ინსპექტორის მესამე ადგილი.

◆ **ფრანგული გაზეთი.** ფრანგულ გაზეთ „ეროპენ“-ის უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია საყურადღებო წერილი საქართველოს შესახებ. ავტორი დაწვრილებით აღწერს თუ რა მოხდა ჩვენში 4 დეკემბრიდან 10 იანვრამდე; მოჰყავს მრავალი ფაქტი, როგორ დააწიოკა ჯარმა ტფილისი და საქართველოს სხვა ქალაქები და დაბა-სოფლები. ავტორი ქალია და თვის წერილში ზიზღს უცხადებს საშინელ ამბების მოხდენას.

◆ **გაჩხრეკა.** 8 თებერვალს ჯარმა მესამედ გაჩხრიკა გოლოვინის პროსპექტზე სასტუმრო „ნიუ-იორკი“. გაჩხრეკის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სარდაფებს. ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს.

◆ **ქართული წარმოდგენა.** დღეს, 10 თებერვალს, სცენის მოყვარენი ვეტცელის თეატრში წარმოადგენენ ბ-ნ რამიშვილის 4 მოქმედებიან დრამას „მეზობლებს“.

◆ **კონსტ.-დემოკრატთა კრება.** დღეს, 10 იანვარს, საარტისტო საზოგადოების დარბაზში, დილის 10 საათზე დანიშნულია კრება კონსტიტუციონალ დემოკრატთა პარტიის ადგილობრივ ჯგუფისა. ბილეთებით მიწვეულია სულ 500 კაცი.

◆ **სინოდის „უქაზი“ დეკ. ვოსტორგოვზე.** სასინოდო კონტორის სახელზე მოვიდა შემდეგი „უქაზი“. „რადგან მოსკოვის ეპარქიაში დიდი საჭიროება მოითხოვს სამისიონერო საქმის გაძლიერებას სექტანტების წინააღმდეგ, მოსკოვის მიტროპოლიტის ანტონის შუამდგომლობის თანახმად, არსდება განსაკუთრებული თანამდებობა მისიონერისა და მიტროპოლიტისავე შუამდგომლობის თანახმად ამ ადგილზე დანიშნულ იქმნა დეკანოზი ვოსტორგოვი“.

◆ **შეპყრობილების საქმე.** უკანასკნელ გაფიცვის დროს ბევრი რკინის გზის მოსამსახურე იქმნა შეპყრობილი; უმრავლესობა მათგანი, როგორც გადმოგვცეს, განთავისუფლებულ იქნება. ციხეში დარჩებიან მხოლოდ ის პირები, რომელთა წინააღმდეგ წერილობით საბუთები აქვთ.

◆ **კრება.** ბექდვითი საქმის მოღვაწეთა ტფ. საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატების კრება კვირას ვერ შესდგა და გადაიდვა ხვალისათვის. ხვალ, 11 საათზე, ეს სხდომა უნდა მოხდეს ქალაქის გამგეობის სადგომში.

◆ **ფარნების საქმე.** გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, სახლებზე ფარნების დაკიდების ვადა გადიდვა ოც თებერვლამდის.

◆ 8 თებერვალს, საღამოთი, სადგურის ქუჩაზე ერთი, როგორც სთქვეს, შეზარხოშებული დარაჯი წამოეწია ეტლით მიმავალ ვიღაც მანდილოსანს და მოუნდომა ეტლს გაჩერება და ქალს გაჩხრეკა. ქალმა წივილ-კივილი შექნა. დარაჯმა რევოლვერი ამოიღო და დაემუქრა მეეტლეს, გაეჩერებინა ეტლი. ქალმა კიდევ უფრო საშინლად იწივლა. ამ დროს ქვეითა ჯარის პატრული გაჩნდა. ქალს აფიცერი წაექომაგა და დარაჯის ხელიდან იხსნეს.

◆ ამ დღეებში ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე არტემ მიქელოვისა, რომელსაც ბრალდებოდა ყუმბარის გადაგდება თათრის მოედანზე და დაჭრა ბოქაულის გლებოვისა და უბნის ზედამხედველის ჩიკვაიძისა. სასამართლომ საქმე სრულიად მოსპო, რადგან ვერაფრით ვერ დამტკიცდა დანაშაულობა ბრალდებულისა.

◆ მივიღეთ საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადული“-ს ამ წლის პირველი ნომერი (მოზრდილთათვის). მოგვყავს აქვე შინაარსი:

„მეკვლე“, ლექსი ვაჟელისა; „გულკეთილი ნიკო“, განდეგილისა; „ოხ, ნეტავ არ გამომღვიძებოდეს“, ვასო ჯაფარიძისა; „მეჯოგე“, იგავი ალ. მირიანაშვილისა; „ნაძვი“, თხზ. ანდერსენისა, ალ. მჭედლიშვილისა; „საახალწლო“, (ლექსი) თომაშვილისა; „ბედნიერების გემი“, თ. კა—კისა; „ჯუზეპე გარიბალდი, იტალიის განმათავისუფლებელი“, ვასო ღამბაშიძისა; „ფიზიკა და ქიმია“, ნ. ლომაურისა; „მეფე გიორგი მესამე“, დ. კარიჭაშვილისა; „გასართობი“—შობის ხის მორთვა, ანდაზები და გამოცანები.

◆ სიღნაღის მაზრაში მომხდარი ამბები, 1. ქ. სიღნაღში თოფის წმენდის დროს მოკლულ იქმნა ტფილისის მე-3-ე გიმნაზიის მოწაფე ი. არეშოვი; 2. სოფ. კარდანახში ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დაიჭრნენ ვლადიმერ, ილია სოლომონი და ათანასე ლულაშვილები; 3. ქ. სიღნაღში სარქის არაქელოვმა ფარსადანოვი მძიმედ დასჭრა ჩხუბის დროს, 4. სოფ. მაჩხაანში ჩხუბის დროს სასიკვდილოდ დასჭრეს ერთმანეთი სიკო მარკოზლიშვილმა და გიგო ნასრაშვილმა; 5. ს. ქობაღოსთან ვიღაცას ტყიდან მოუკლავს ს. ბაკურციხის მცხოვრები თ. ვლადიმერ ვაჩნაძე; 6. ალაზანის პირად უპოვნიათ უსულდგმულოდ ყელ-გამოჭრილი გვამი სოფ. კოტაანის მცხოვრების გიგოლა ბაღაშვილისა.

◆ როგორც გადმოგვცეს, მეტად გაჭირვებულ მგომარეობაშია თურმე ქვრივი მარიამ ორჯონიკიძესი, რომელსაც არავითარი სახსარი ცხოვრებისა არ გააჩნია და შესანახი კი სამი შვილი ჰყავს. სცხოვრობს ელისაბედის ქუჩაზე, სახლი ალიხანოვისა, № 64, მეცხრე ნაწილი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 9 თებერვალი. ბევრი რედაქტორი, რომელიც სასამართლომ გაამართლა, ადმინისტრაციის წესით იქნებიან გადასახლებულნი; რამდენიმეს უკვე ამ დღეებში გზავნიან.

◆ გაზეთი „სლოვო“ იტყობინება, ვითომ ტფილისში ბორჩალოს თათრების თავდასხმას მოელიან ყოველ დღეო; შეიარაღებული სომხები ბოტანიკის გზაზე დგანან და გზებს უდარაჯებენო.

◆ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა შინაგან საქმეთა მინისტრის დურნოვოს პროექტი, რომლის ძალით ქალაქის პოლიცია ჟანდარმთა მმართველობის განკარგულებაში უნდა გადვიდეს.

◆ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევაო, ირწმუნებიან პეტერბურგის გაზეთები, 18 აპრილისათვის დაინიშნაო.

◆ სამხედრო სამინისტრომ საბოლოოდ გადასწყვიტა გაუქმებულ იქმნას „დენშჩიკობა“; სამხედრო პირთ ფული მიეცემათ კერძო მოსამსახურეთა დასაქირავებლად.

◆ პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი, ფინლიანდიის გენ.-გუბერნატორის თანაშემწედ ნამყოფი, დაინიშნა ტფ. სამოსამართლო პალატის პროკურორად.

პრესსა

გორისა და დუშეთის გენერალ-გუბერნატორის ბაუერის ისტორიულმა ბრძანებამ მიიქცია რუსეთის პრესსის ყურადღებაც და რადგან ადგილობრივმა პრესსამ თავისდა უნებურად ვერ დასდო შესაფერი მსჯავრი ბაუერის მართლა და საარაკო „უქაზს“, მოგვყავს თითქმის სავსებით რუსეთის პრესსის აზრი. „შეიძლება ვიფიქროთო, სწერს „რუსკ. ვედომოსტი“,

> რომ პრემიაა დანიშნული, ვინც უდიდეს უკანონობას ჩაიდენს. იმდენი მაგალითი ვნახეთ განსაცვიფრებელ დაწინაურებისა ამ მხრივ, ისე ერთსულ და მწყობრად მოქმედებდნენ მოცილენი, რომ გვეგონა—პირველობა უკვე მიღწეულია და უფრო შორს წასვლა შეუძლებელია. მაგრამ სინამდვილე აჯობებს ყოველთვის მოლოდინს. ეხლახან კელეცკი გენერალ გუბერნატორმა გამოაცხადა, რომ გაუსამართლებლად დასჯის სიკვდილით ყველას, ვინც სამი დღის განმავლობაში იარაღს არ წარმოადგენს რომ მცირეწლოვან (14 წლამდე) დამნაშავეთა მშობლებიც სიკვდილით დაისჯებიანო. მშობლების სიკვდილით დასჯა იმიტომ, რომ 13 წლის ბავშვს რევოლვერი ჰქონდა შენახული, საკმაოდ მაღალი საფეხური უნდა იყოს კანონის გაუქმების კიბეზე და ამაზე უფრო მაღლა ასვლა, გვეგონა, ძნელი იქნებოდა.

მაგრამ გორისა და დუშეთის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებამ კელეცკის გუბერნატორის განცხადება სრულიად ჩაჩრდილაო, ამბობს ხსენებულ გაზეთის რედაქცია. შემდეგ გაზეთს მოჰყავს ბაუერის ცნობილი ბრძანება და დასძენს:

> გენერალ-გუბერნატორის ამ ბრძანებას რომ ჰკითხულობ, საშუალო საუკუნოებში გგონია თავი. პაპმა ინოკენტი III ლეგატი გაგზავნა ალბიგოელებთან საბრძოლველად და ეს ლეგატი იყო, რომ წარმოსთქვა განთქმული სიტყვები: „დახოცეთ ყველანი და საიქიოში თვითონ ღმერთი გაარჩევს მართალსა და ბრალიანსო“. ეს მოხდა 1208 წელს, სრული შვიდასი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და დღეს თითქმის იმავ სიტყვებს ვკითხულობთ გენერალ-გუბერნატორის ბრძანებაში: „თუ გენერალ-გუბერნატორის მოთხოვნა არ შესრულდა, დამნაშავე სოფლები დანგრეული ან მოსპობილი იქნება, იმის გაურჩევლად, ვინ არის მართალი ან ბრალიანი“.

ერთი განსხვავება არის პაპის ლეგატისა და ბაუერის სიტყვებ შორის ლეგატის შეუბრალებლობა გამოწვეული იყო იმ ზრუნვით, რომ სული ეხსნათ წარწყმედისაგან და სულის ხსნა კი მორწმუნე კაცისათვის ბევრად უფრო დიდი საგანია, ვიდრე ხორცი და სახორციელო საქმენი; ამიტომაც ლეგატის ქცევა ბევრად უფრო ადვილად შესაწყნარებელია, ვიდრე გენერალ-გუბერნატორისა. გაზეთი ასე ათავებს თავის შენიშვნას:

> სისხლის ნისლმა, რომელიც ამ უკანასკნელ თვეების განმავლობაში გადაეფარა რუსეთს, იმდენად დაგვიჩლუნგა ნერვები, რომ აღარ შეგვიძლია აღვშფოთდეთ ამ გვარის ამბებით, შესაფერი პასუხი გასცეს მათ ჩვენმა გრძნობებმა. თუნდაც ეგრე არ იყოს, რა სიტყვებით უნდა გამოვთქვათ ის გრძნობა, რომელიც უნდა გამოიწვიოს „წესიერების „ამ გვარმა აღდგენამ? სამხედრო დროის კანონების მართლმსაჯულება კი არა, ეს ნამდვილი „სიგიჟე და საშინელებაა“.

რუსეთი

გენ. სახაროვის მკვლელის საქმე. გამომძიებელმა დაასრულა სახაროვის მკვლელ ქალის საქმის გამოძიება. წოდება და გვარი ქალისა ვერ გამოურკვევიათ. საქმე გაირჩევა სარატოვის სამოსამართლო პალატაში.

პოლონეთის ვითარება. ვარშავიდან „რუს. სლ.“-ს ატყობინებენ, რომ კელეცში

ზოგადოებას ნება არა აქვს კანონის ძალით ჩამოართვას საკუთრება და უნდა ეცადოს მხოლოდ ნება-ყოფლობით დაითანხმოს მემამულეები და ყოველნაირი საზოგადო სასარგებლო მუშაობა იმ დრომდის უნდა გადასდოს. როდესაც საზოგადოება კანონს ჰქმნის იმის შესახებ, რომ კერძო მემამულეებმა უნდა დაუთმონ თავიანთი ადგილი საზოგადო სარგებლობისათვის, ამით იგი პირდაპირ ამტკიცებს, რომ მთელი ხალხის უფლება დედა-მიწის შესახებ ყველა კერძო მესაკუთრეთა უფლებას აღემატება. ამგვარად საზოგადოება ნათლად აცხადებს, რომ კერძო მესაკუთრეთა უფლება მხოლოდ საერთო თანხმობით არსებობს და როცა ეს თანხმობა მოისპობა, მაშინ კერძო საკუთრებასაც ბოლო მოეღება, ერთი სიტყვით, რომ იგი არავითარ უფლებას არ წარმოადგენს.“

„ყველა ეს კეთილი და პატიოსანი, გვეტყვიან ზოგიერთები, მაგრამ რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამ თქვენ მოძღვრებას იმის შესახებ, რომ ყველა ადამიანთ დედა-მიწით სარგებლობის თანასწორი უფლება უნდა ჰქონდეს? ნუ თუ იმ დროს უნდა დაუბრუნდეთ, როცა დედა-მიწა განუყოფელი და დაუმუშავებელი იყო და ზედ მცხოვრებნი ტყის პანტა-ვაშლითა და ნადირის ხორცით იკვებებოდნენ“?.

„სულაც არა. ჩვენი მოძღვრების განხორციელება სავსებით ეთანხმება კაცობრიობის დღევანდელ ცივილიზაცია-განვითარებას; რეფორმა შეიძლება ისეთნაირად მოხდეს, რომ არავის არ დააკლონ თავისი მამული სხვებს გაუყონ. ხოლოდ კერძო მესაკუთრეები გამოიცვლებიან. დედა-მიწის მესაკუთრედ, მემამულედ, კერძო კაცთა მაგიერ მთელი ხალხი იქნება გამოცხადებული. დღეს გლეხი მემამულეს გამოართმევს ხოლმე მიწას სამუშაოდ, მაშინ-კი საზოგადოებას მიმართავს. დღეს მემამულეს აძლევს იგი ღალას, იჯარას, მაშინ საზოგადოების რწმუნებულს მისცემს. ამ ჟამად ეს ღალა ხალხისათვის სრულებით დაკარგულია, მემამულე თავისდა სასარგებლოდ იჯიბავს ამ ფულს; რეფორმის შემდეგ-კი ეს ფული სავსებით ხალხის საჭიროებას მოხმარდება. მთელი მიწა საზოგადოების ხალხის საკუთრებად იქნება გამოცხადებული და დღევანდელი მესაკუთრე ხალხის მოიჯარადრედ გახდება.

ამ გვარი წესწყობილება ნამდვილი-სამართლიანი და ზნეობრივ კანონთან შეთანხმებული იქნება. ყველას დედა-მიწისაკენ გზა გაეხსნება, უფლება ექნება, რამდენიც სჭირდება, იმდენი მიწა დაიმუშაოს და მოსავალი მოიყვანოს, ოღონდ დაწესებული იჯარა აძლიოს საზოგადოებას, ის იჯარა, რომელიც საბოლოოდ ისევ იმისდა სასარგებლოდ იქნება მოხმარებული.

დღევანდელი ცივილიზაცია, კაცობრიობის განვითარება ერთობ ცალმხრივი და უსამართლოა. ხალხის უდიდეს ნაწილის, უმრავლესობის სარგებლობა მესაკუთრეთა და შეძლებულთა მცირე ჯგუფს ენაცვალა. ეს სასტიკი წესი მანამდის დარჩება, სანამ დედა-მიწა კერძო მემამულეთა ხელში იქნება. მიწის საკუთრება—დღევანდელ ბოროტმოქმედებათა დასაბამი და უმთავრესი წყაროა. დღეს საზოგადოება ასე არ უცქერის ამ საგანს, მაგრამ საქმის ვითარება ამით მაინც არ იცვლება. ველურობის ხანაში კაცის კვლასაც ცოდვად არა სთვლიდნენ. ინდოეთში, მამაკაცი რომ მოკვდებოდა, ცოლსაც გააყოლებდნენ, იმის საფლავზე სწვავდნენ; როცა ველურები თავის ბელადს დაასაფლავებდნენ, იმის საფლავზე ას კაცს შესწირავდნენ მსხვერპლად. კაცის მჭამელი ველური ხალხი კი, რასაკვირველია თავის ტყვეებს ისე უცქერის, როგორც საკლავ საქონელს და დამშვიდებულის გულით სჭამს, როგორც თავის სამართლიან კერძს. ამგვარადვე ძველ დროშიაც ბატონ-ყმობასა და მონობას ისე უცქეროდნენ, როგორც ბუნებრივ, სამართლიან დაწესებულებას, როგორც ბუნებით თანდაყოლილ ადამიანის თვისებას, უზენაეს დადგენილებას. მართალი რომ ვსთქვათ, დღესაც ბევრს ნახავთ ამგვარ შეხედულების მომხრეს; ახალმა დრომ ახალი, უფრო სამართლიანი აზრი მოიტანა და დღეს ჩვენ კაცობრიობას საერთო უფლება უმაღლეს წმინდა უფლებად მიგვაჩნია. მაგრამ დღევანდელი ცივილიზაცია მაინც ცალმხრივი და თავის-კერძოა. მაგრამ შორს არ არის ის დრო, როცა ყველა შეიტყობს, რომ სამართლიანი წესი ჯერ-ჯერობით ასრულებული არ არის, როცა ყველა შეიგნებს, რომ ხალხისაგან დედა-მიწით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა სიცოცხლისა და პირად თავისუფლების ჩამორთმევას უდრის.

მოკლედ რომ ავნუსხოთ ჩვენი საბუთები, უნდა ვსთქვათ, რომ თანასწორ თავისუფლების კანონი სასტიკად მოითხოვს, რათა ყველას მიეცეს უფლება დედა-მიწით ისარგებლოს იმ ზომით, რომ ეს თანასწორობა დარღვეული არ იქნას. ამ კანონს სავსებით ეწინააღმდეგება დღევანდელი კერძო მიწის საკუთრება. საბუთები, რომელთა შემწეობითაც დღეს ამართლებენ ამ კერძო საკუთრებას, უსამართლო და უნიადაგოა. ამ დარგისაა აგრეთვე ის საბუთები, რომელსაც მიმართავენ ხოლმე მიწის მუშაკნი, რათა თავიანთი უფლება დაამტკიცონ: ადგილი ჩვენ დავიმუშავეთ და გავაუმჯობესეთო. უკვე განვიხილეთ, რომ კაცთა შორის დედამიწის დაყოფაც ვერ შექმნის კანონიერ მესაკუთრეობას. თუ კანონიერად ვცნობთ, რომ დედამიწა კერძო კაცთ უნდა ეკუთვნოდეს, მაშინ ხალხზე სრული თვითმპყრობელობაც უნდა ჩაუგდოთ ამ მესაკუთრეთ ხელში. დავინახეთ, რომ დღევანდელი კანონიც არა სცნობს დედა-მიწაზე კერძო მესაკუთრეთა ხელ-უხლებელ უფლებას და საერთო საჭიროების მიხედვით ჩამოართმევს ხოლმე მიწას. ბოლოს იმაშიდაც დავრწმუნდით, რომ დედამიწის საყოველთაო საკუთრებად გამოცხადება სავსებით ეთანხმება ცივილიზაციის უმაღლეს განვითარებასა და განათლებას. რაც უნდა ძნელი იყოს ამ ახალ მოძღვრების ასრულება, სამართალი სასტიკ მრისხანედ გვთხოვს დაუყოვნებლივ ავასრულოთ.

ყველა ჩვენი ნათქვამი მოკლედ ასე უნდა ავნუსხოთ:

1. დედა-მიწაზე ადამიანთა თანასწორი უფლება იქიდან წარმოსდგა, რომ ყველა ერთნაირად იბადება ამ წუთი-სოფელში და ეს ქვეყანა ყველასათვის განურჩევლად თანასწორ—საცხოვრებლადაა მოწყობილი;

2. ამიტომ თანასწორობის წინააღმდეგია დედა-მიწაზე კერძო მესაკუთრეობა, რადგან ეს კანონი მემამულეთა ერთ ჯგუფს უფლებას ანიჭებს ხალხის უმრავლესობას დედა-მიწა ჩამოართვას;

3. დღეს არსებულ კერძო მესაკუთრეობის დასაბამი კანონიერი და სამართლიანი არ არის; ზნეობრივად ამ დაწესებულების გამართლება შეუძლებელია; ამიტომ იმ თავითვე უსამართლოდ შექმნილ დედა-მიწის გაყიდვა, ანდერძით გადაცემა და ყოველნაირი მფლობელობაც უსამართლოა;

4. არ არსებობს არავითარი საშუალება, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი იყოს დედა-მიწაზე სამართლიანი კერძო-მესაკუთრეობა. ვინც დედა მიწას დაიმუშავებს და მოსავალს მოიყვანს, უნდა ეკუთვნოდეს შრომის ნაყოფი და არა თვით დედა-მიწა;

5. საერთო თანხმობითა და ნებაყოფლობითაც დედა-მიწის თანასწორად დაყოფა შეუძლებელია, რადგან ამ გზით უფლება არ ექნებათ ისარგებლონ დედა-მიწით ყველა იმათ, რომელნიც ამ დაყოფის შემდეგ დაიბადებიან.

6. სამართალსა და უსამართლობის შორის შუა გზა სავსებით უნდა უარვყოთ: ან ყველას უნდა ჰქონდეს უფლება ისარგებლოს დედა-მიწითა, ან ზოგიერთებს უნდა მიეცეს კანონის ძალით ნება უმრავლესობა დაჩაგრონ და სიცოცხლე მოუსპონ;

7. ნამდვილად სავსებით არავის არა სწამს მემამულეთა საკუთრების ხელშეუხებლობა. კანონის ძალით იმათ ჩამოართმევენ ხოლმე მიწას საზოგადო სარგებლობისათვის და ამნაირად აბათილებენ მათ საკუთრების დამამტკიცებელ საბუთებსა და ქაღალდებს, ერთის სიტყვით, მემამულეთა საკუთრების უფლებას საერთო თანხმობით უდგია სული: როგორც ეს თანხმობა ირღვევა, საკუთრებაც ისპობა.

8. მიწაზე საკუთრების რეფორმისათვის სულაც არ არის საჭირო სოციალიზმის ან კომუნიზმის განხორციელება და დღევანდელ წყობილების ძირიანად შეცვლა. საჭიროც არ არის, რომ მიწა სახელმწიფოს გადაეცეს. საჭიროა მხოლოდ, რომ ის იჯარა ან ღალა, რომელიც დღეს მემამულეებს ხვდება, საზოგადოებას მიეცეს საერთო საჭიროებისათვის.

9. მიწის საკუთრება ხალხის მჩაგვრელი, ბოროტ-მოქმედი დაწესებულებაა; მიწის წართმევა პირად თავისუფლების და სიცოცხლის ჩამორთმევას უდრის.

10. რაც უნდა ძნელი იყოს ამ რეფორმის განხორციელება და ამ წუთი სოფელში ყველა ადამიანის თანასწორ მემკვიდრეებად გამოცხადება, იგი მაინც უნდა მოხდეს, რადგან ამას სასტიკად მოითხოვს სამართალი და ჭეშმარიტება.

საქმე ძლიერ გაწვავებულია. ჯარი ძლიერ გაბრაზებულია რევოლიუციონერებისა და ებრაელების წინააღმდეგ. სალდათები აფიცრებსაც კი თავს ესხმიან. მეტად უტაქტოდ იქცევა ადგილობრივი ოფიციოზური ორგანო „ვარშავსკი დნევნ.“, რომელიც ცდილობს წერილებში აღნიშნოს პოლონეთის რუსეთისაგან სრულ განცალკევების სურვილი, რითაც ძლიერ აღელვებს საზოგადოებას. მცხოვრებნი ამ ორგანოს საქციელში ჰხედავენ მხოლოდ ჩვეულებრივ ბიუროკრატიულ ხერხს, რომ რუსეთის საზოგადოებრივ აზრის წინაშე პოლონელები შეამბოხეებად გამოიყვანოს.

რიგის ამბავი. რიგიდან ატყობინებენ გაზ. „ვეჩ. გოლ“-ს, რომ იქ ეგზეკუციამ შეიცვალა ხასიათი. სათითაოდ დახვრეტა აღარ არის. პეტერბურგიდან მოსული სამხედრო სასამართლო განიხილავს ყველა საქმეებს და უიმისოდ არც ერთი დახვრეტა ამის იქით აღარ მოხდება. ძალიან სანუგეშო ამბავია: ჯერ საქმის გაურჩევლად ხვრიტეს და როცა მოსწყინდათ, საქმის გარჩევით დახვრეტა დაიწყეს!..

9 იანვრის საქმის გამოძიება. განსაკუთრებულ იურიდიულ კომისსიას შეუკრებია დიდი მასალა მუშათა მდგომარეობისა და 1905 წლის 9 იანვარს მუშების ულმობელ ხოცვის შესახებ. მთელი ეს მასალა დაიბეჭდება და მოხსენდება პეტერბურგის ქალაქის საბჭოს.

შმიდტის მდგომარეობა. ლეიტენანტ შმიდტს ეტყობა შეშლილობის ნიშნები. მის დამცველებს მიუღიათ შმიდტისაგან ორი გაუგებარი დეპეშა. ესენი დაეკითხნენ „ოჩაკოვში“ შმიდტის მხლებელ პირს. ამან უპასუხა, რომ შმიდტი შეიშალაო. დამცველთ სამხედრო-საზღვაო სასამართლოში შუამდგომლობა აღუძრავს, რომ დაუყოვნებლივ შეამოწმონ შმიდტი.

რეპრესსიები. დაუპატიმრებიათ რედაქტორი ქალი ახალ ლიტვურ გაზეთისა. გაზეთი დაუხურავთ საქმის გარჩევამდის. რედაქტორს სამართალში აძლევენ.

პეტერბურგში კავშირთა კავშირის რაიონის კრება პოლიციამ დაშალა.

არხანგელსკის გუბერნიაში გაგზავნეს ვოლოსტის მამასახლისი მალოარხანგელსკის მაზრისა, რომელიც მოსკოვის გლეხთა კრებაში მონაწილეობას იღებდა და სოციალისტურ აზრებს ავრცელებდა.

პროვინციებში ისევ ძველებურად იჭერენ ხალხს. ქ. სუმაში მიუღიათ ბრძანება ერობის 64 მოსამსახურის დათხოვნის შესახებ. ვოლჩანსკაში 20 ამგვარივე მოსამსახურე უკვე დაუთხოვნიათ. ვორონეჟის გუბერნიაში დაჭერილებს ვორონეჟის საპყრობილეში ადგილის უქონლობისა გამო ტამბოვსა და ორიოლში ჰგზავნიან.

ჩერნიგოვიდან იწერებიან, დღე არ გავა ისე, რომ რამდენიმე კაცი არ დაიჭირონო. ბევრს ისეთს იჭერენ, სრულიად მონაწილეობა არ მიუღია განმათავისუფლებელ მოძრაობაში. დაუჭერიათ სხვათა შორის ერთი ნაფიცი ვექილი — კონსტიტუციონურ დემოკრატიულ პარტიის წევრი.

პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობა. ინჟინერ-ტეხნოლოგი პონომარევი ატყობინებს გაზ. „რუს“-ს, რომ პოლიტიკური პატიმარნი ძლიერ შევიწროებულნი არიან ბუტირკის ციხეში (მოსკოვში). „ამ დღეებშიო, — სწერს ინჟინერი: — ვთხოვე ციხის უფროსის თანაშემწეს დავიდოვს ნება მოეცა ჩემთვის რძის მოტანისა, და შემდეგი პასუხი მივიღე: „ექიმმა რაც უნდა, ის გამოგიწეროს და ჩვენ კი იმის ბრძანებას არ შევასრულებთო“.

პოლიტიკურ პატიმარ ქალებს მიუხმიათ ციხის უფროსი და შეუჩივლიათ, რომ ჟანდარმების პოლკოვნიკი გვიკრძალავს ნათესავებთან და ნაცნობებთან ლაპარაკსაო. კანონით იმათ შეუძლიანთ 5 წუთს იყვნენ სალაპარაკოდ და პოლკოვნიკი კი სამ წუთის მეტს არ აძლევს. ამ საჩივრის შემდეგ პოლკოვნიკმა ვადა კიდევ უფრო შეუმცირა $1^1/_2$ წუთამდე.

საიდუმლო პოლიციის გაძლიერება. ეგრედწოდებული „Охранное отдѣленіе“ ახალ წევრებს იძენს. უფროსი აგენტები 60 მანეთს იღებენ ჯამაგირს. ვისაც საგანგებო მინდობილებით ცარსკოე სელოში ჰგზავნიან, ამას თვეში 15 მანეთს უმატებენ.

წერილები

ძ. ბაქო. სასტიკი რეაქცია, ვით შავი ყორანი, თავს დასჩხავის ბაქოს, როგორათაც, საზოგადოდ, მთელ რუსეთის აწინდელ ცხოვრებას. ყოველმა ბნელმა და მუხანათმა ძალამ, რომელიც კი ამ ორიოდე თვის წინად დასამალავად თავის სოროს ეძებდა, ეხლა უსირცხოთ თავი მაღლა წამოჰყო და თავის საზიზღარ კვალს აჩნევს ყველგან, რასაც კი ადამიანურ ცხოვრების ნიშან-წყალი ატყვია. ფხიზელ პრესისთვის პირში ბურთის ჩაჩრა, ჩხრეკა-ძარცვა დღისით-მზისით, აწიოკება-დაპატიმრება ხშირათ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ, როგორც რუსები იტყვიან, — Здорово живешь-ო, აი ასე ახორციელებენ 17 ოქტომბრის თავისუფლებებს... ვინც კი ცხოვრებას ზერელათ არ უყურებს, ის შეუწუხებული მხოლოდ აწინდელ კულის-ამაშფოთებელ ყოფით, თორემ კარგათა გრძნობს ბ-ნ შმერლინგთან ერთად, რომ საძირკველ-კედლებიან დაფაფხებულ შენობას დანგრევისაგან ვერ იხსნის დაცხრილულ კედლების შელესვა, ჭუჭუტანების ჩაქოლვა. ახალი საძირკველია საჭირო ახალ ხანგრძლივ შენობისთვის. რა თქმა უნდა, ამ სულის შემხუთველ ჰაერს ვერ მოითმენს 150 მილიონიანი რუსეთის საზოგადოება და თავის ოც მილიონამდე დამშეულ აწიოკებულ ნაწილთან ერთად დღესა თუ ხვალ მედგრად დასვამს ჰამლეტისებურ კითხვას: ყოფნა — არ ყოფნისას; ნეტავი თუ ამ დღისთვის რაღას ფიქრობენ ჩვენი „დამამშვიდებელნი“!

ამ საზოგადოდ ყველგან გამეფებულ გატიავებულ ცხოვრებას დაუმატეთ ბაქოში ჯერეთ არ დამცხრალი სომეხ-თათართა ერთმანეთისადმი უნდობლად ყურება, უბედურ მოლოდინში დაჭიმული ნერვები და მაშინ ადვილად წარმოიდგეთ აწინდელ ყოფას იმ ბაქოსას, რომელიც გაჩაღებულ ინდუსტრიის წყალობით დუღდა და გადმოდიოდა ეს ნავთის სამეფო ამ რამდენისამე წლის წინათ. თუ კარგად გრძნობენ ვინმე ამ რეაქციის დროს, — ეს აქაური მსხვილი კაპიტალისტები — ნავთის მწარმოებლები, რადგან ნავთის ფასი ადგილობრივ ბირჟაზე სულ მაღლა იწევს. თუ ორიოდე წლის წინად, „მშვიდობიანობის დროს“, ფუთი 5 კაპეიკამდე დაეცა, ეხლა უკვე 26 კაპეიკად იყიდება.

ბაქოს ქართველებმა კრებებს მოუხშირეს და რაღაც ფაცა-ფუცში არიან: ამის ერთი მიზეზთაგანი ჩვენის მხრიდან მოსული საზიზღარ აკლების ამბებია და ბევრს გულ წრფელად სურს თანაგრძნობის ხმა და რამეგვარი დახმარება მიაწოდოს და მეორე უმთავრესი მიზეზი ის გახლავს, რომ ამ ერთი წლის წინად ბაქოში დაარსებულმა ქართ. საქველმოქმედო საზოგადოებამ უმრავლესობის სიმპატია ვერ დაიმსახურა და ძალიან ცოტა წევრები მიიზიდა; ამიტომაც აიძრა სურვილი იმ გვარ წესდების შემუშავებისა, რომლითაც შეიძლებოდეს მოიპოვოს საერთო ნიადაგი სხვა და სხვა პარტიის და მიმართულების ქართველთა შესათანხმებლად. უკვე შესდგა ორი კრება, რომელზედაც მკვახედ ეკამათებოდნენ სხვა და სხვა მიმართულების პირნი; განსაკუთრებით „თავი ისახელეს“ ზოგიერთ ჩვენებურმა მარქსისტებმა, რომელთაც სიტყვა „ქართველთაც“ კი აშინებდა და თხოულობდნენ, რომ ადგილობრივ ქართველ საზოგადოებას დაეარსებინა „საყოველთაო ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება...“ ბევრის კამათის შემდეგ ამოირჩიეს კომისია, რომელსაც დაავალეს შეემუშავებინა წესდება „ქართველთა ურთი-ერთ დამხმარებელ საზოგადოებისა,“ — მხოლოდ ეკონომიურ-მორალურ ნიადაგზედ, გარეშე პოლიტიკისა. პროექტი წესდებისა უკვე შემუშავებულია და პირველი საზოგადო დამფუძნებელი კრება დანიშნულია 10 თებერვლისთვის.

ათსავე თებერვალს გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო „ქ. შ. წ. კ. საზ.“ სასარგებლოდ. პროგრამმა საინტერესოდ არის შედგენილი და იმედია, საზოგადოებას მიიზიდავს.

4 თებერვალს გაიმართა სომხური საღამო და იმოდენა საზოგადოება დაესწრო, რომ კლუბის დიდ ზალებში ტევა არ იყო. როგორც გადმოგვცეს, შემოსავალი 6,000 მანეთს აღემატება.

დღეს აქედან დიდის ამბით გაასვენეს ქუთაისისკენ სალიანის პოლკის აფიცერი ლ. ბაბუნაიშვილი, რომელმაც ორი დღის წინად თავი მოიკლა. ეს ის ბაბუნაიშვილია, რომელიც ოქტომბერში, ხულიგანების თარეშობის დროს, შევარდა ცეცხლ მოდებულ სახლში, ხმალ ამოღებულმა გააპო გააფთრებული ბრბო და გადაარჩინა აუცილებელ სიკვდილს ასამდე სომეხი. სომხის საზოგადოებამ ჯეროვნად დააფასა ჯერ ისევ სიცოცხლის დროს ბაბუნაიშვილის სიგმირე: მიართვა ადრესები, ოქროს ხმალი და სხ. და ასევე პატივის ცემას უპირებდნენ ბაბუნაიშვილს დაქორწინებისას, რომელიც დანიშნული იყო კვირას, მაგრამ, როგორც სთქვეს, საქორწილოდ საჭმადისი დასამარხავად დაკვეპირდაო.

ბაქოელები ცოტათი შეაფუცხუნა იმ ამბავმა, რომ აწ არსებულ „ყოველ სიკეთესთან ერთად,“ შავი ჭირი გადმოსულა სპარსეთში და ამ გვარად ადვილი მოსალოდნელია ბაქოშიც...

გ. ახალციხელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ჩემს შესახებ თქვენს გაზეთის გუშინდელ (8 თებერვლის) №-ში მოთავსებულ ცნობის შესასწორებლად ვთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ სტრიქონებს.

ჩემ მიერ სამსახურის მიტოვების შესახებ თხოვნაში მე პირდაპირ ვაცხადებდი, რომ ვერავითარი შთაგონება ჩემზე ვერ იმოქმედებდა და ვითხოვდი, რაც შეიძლება ადრე გამოვერიცხეთ იმ წრიდან, რომელშიაც დღემდე ვმსახურებდი. თუ მიუხედავად ჩემის გადაჭრილ განცხადებისა სასინოდო კანტორას სულ სხვა დაუდგენია და ჩემთვის კეთილის მყოფელი „შთამგონებელი“ დაუნიშნავს — ეს კანცელიარიული ფორმალისტობაა, რომელიც თავის დროზე უკვე გამოიარეს ჩემთან ერთად თქვენს გაზეთში მოხსენებულმა მღვდელმა დიომიდე შილაკაძემ და აქსენტი მეგრელიძემ. უკანასკნელად ერთხელ კიდევ ვაცხადებ, რომ ჩემს გადაწყვეტილებას მტკიცედ ვადგივარ და ვერავითარი ფორმალისტური შთაგონებები ჩემზე ვერ იმოქმედებენ.

ვლადიმერი ბესარიონის ძე ელიავა

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

7 თებერვალი

პეტერბურგი, 7 თებერვალი. ოფიციალური. სახელმწიფო საბჭოს საზოგადო კრებაზე განიხილეს საკითხი შესახებ იმისა, რომ საპოლიციო დარაჯების სამხედრო გაწვრთნა დაეკისროს ჟანდარმთა კორპუსის ცალკე პირებს და დაარსდეს ხსენებულ დარაჯთათვის აფიცრების თანამდებობა. სახელმწიფო საბჭომ თითქმის ერთხმად მოიწონა შინაგან საქმეთა მინისტრის ასეთი პროექტი. თანახმად ამ პროექტისა სამაზრო საპოლიციო დარაჯებს სამხედრო მომზადება უნდა ჰქონდეთ. ამ დარაჯების უფროსობა გუბერნიაში, განზრახულია, დაეკისროს საპოლიციო დარაჯების საგუბერნიო ინსპექტორს. დარაჯების მახლობელი მასწავლებელ-გამწვრთნელნი და ცალკე რაზმების უფროსნი იქნებიან საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსების თანაშემწენი, ადიუტანტები და გუბერნატორის მიერ დანიშნულნი ობერ-აფიცრები. ამ თანამდებობის პირების შესახებ ინსტრუქციებს გამოაქვეყნებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

6 თებერვალს სახელმწიფო საბჭოის სჯა-ბაასი ჰქონდა თერგის ოლქის მთიულებისთვის გროზნას ახლოს ვოზდვიჟენსკი, მატოეს და ვედენოს სლობოდკებში დასახლების ნების მიცემის შესახებ. ამ ადგილებში მთიულებს დასახლება აკრძალეთ 1893 წ. 14 მაისიდან, როცა მუსულმანები ჯერ კიდევ არ დაწყნარებულიყვნენ, როცა მთავრობას ეშინოდა, რომ მთიულები არ აჯანყებულიყვნენ და არ დაეჭირათ ასეთი გამაგრებული ადგილები. დროთა ვითარებამ ასეთს შიშს ნიადაგი გამოაცალა, მეორეს მხრით ასეთი ზომა ძლიერ შემავიწროებელი აღმოჩნდა მათთვის, ვინაიდან მუსულმანებს აღარ ჰქონდათ შეძლება აღეზარდნათ შვილები ხსენებულ ადგილებში მყოფ რუსის სასწავლებლებში, ვაჭრობა გაემართნათ იქ. ფერხდებოდა ადგილობრივ მაცხოვრებლების შეერთება რუსებთან და მთიულები მოკლებული იყვნენ რუსის კულტურას. 1904 წ. 16 მაისის განკარგულებით გროზნაში დასახლებისა და უძრავ მამულების შეძენის ნება მიეცათ მუსულმანებს. — ზოგიერთის წევრის აზრით ამგვარი კანონი სრულებით უნდა მოესპობინოთ, ზოგიც იმ აზრის იყო, რომ აკრძალვა მოეხსნათ ვოზდვიჟენსკის შესახებ, სადაც სასწავლებელია და რასაც კულტურის მხრივ მნიშვნელობა აქვს. დაბოლოს ეს საკითხი და აგრეთვე საკითხი ებრაელებისთვის მაგარ სასმელებით ვაჭრობის ნების მიცემის შესახებ გადაუწყვეტელი დარჩა და გადაიდო სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის დროისთვის.

პარიზი, 7 თებერვალი. მოხდა პირველი სხდომა მინისტრთა საბჭოსი ფალიერის თავმჯდომარეობით. სენატსა და პალატაში წაიკითხეს ფალიერის ფირმანი, რომელშიაც იგი სთხოვს რესპუბლიკელებს მხარი დაუჭირონ გარეშე ცხოვრების მტკიცე რეჟიმს, ქებას ასხამს არმიას, იმედი აქვს მრეწველობისა და ვაჭრობის წარმატებისა და აღნიშნავს საფრანგეთის ძალას, რომელიც არავის არ ემუქრება და თავმდებია მშვიდობიანურ განვითარებისა.

ტოკიო. თუმცა იაპონიის საელჩო არავითარ შიშს არა ხედავს ჩინელების მოძრაობაში უცხოელების წინააღმდეგ, მაგრამ მაინც წინადადება გაუგზავნა ჩინეთს, მიიღოს საჭირო ზომები აგიტაციის მოსასპობად.

პეკინი. აქ არავითარი შიში არ არის უცხოელების წინააღმდეგ აღძრულ მოძრაობის შესახებ. ჩრდილოეთ ჩინეთში სრული სიმშვიდეა.

ხერსონი. გრეჩესკი ქუჩაზე, კუზინის სახლში, აღმოაჩინეს ბომბების საკეთებელი სახელოსნო. დაიჭირეს ებრაელი.

ოდესა. ნება დართეს საარჩევნო კრებას პოლიციის დაუსწრებლად. დაიჭირეს ხუთი ანარქისტი, წევრები „ჩორნი ვორონ“-ის ჯგუფისა. სამხედრო სასამართლომ ერთ ყაზახრუსს სამი წლის კატორგა გადაუწყვიტა და მეორეს — ოთხი წლის ტუსაღთა როტა. ამათ გაძარცვის დროს საათი წაართვეს ოქტომბერში შენცოვს.

ასხაბადი ტაშკენტიდან იუწყებიან, გენ. ჟურაბეკი, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია მთავრობას კოკანდის დაპყრობის დროს, მოჰკლეს პირადის შურისძიებით აყარებელ მოსამსახურეებთან ერთად.

ლონდონი ნიგერიიდან მოსულ ცნობებით საკოტოში აჯანყებამ იფეთქა. ფანატიკოსებმა მოჰკლეს რამდენიმე ინგლისელი აფიცერი.

ბუდაპეშტი, 7 თებერვალი. კოალიციურმა კომიტეტმა დაადგინა, რადგანაც პალატა ჯარმა დაიჭირა და გადასწყვიტეს 8 თებერვლის სხდომას წინააღუდგენ შეიარაღებულის ძალით, ამიტომ არ მიიღოს სხდომაზე მონაწილეობა. ლიბერალური პარტია პროტესტს აცხადებს პარლამენტის დათხოვნის წინააღმდეგ.

ლონდონი, 8 თებერვალი. „დეილი-ტელეგრაფ“-ს აუწყებენ, სტამბოლიდან, ეშინიათ, რომ სულთანის ჯიუტობა აკაბის ოკუპაციის საკითხის შესახებ საქმეს გაართულებს. მდგომარეობა გაართულა ოსმალეთმა იმით, რომ აკაბის გუბერნატორს ფაშობა უბოძა.

ვენა. რეისტაგში კრამარმა განაცხადა, გერმანიისა და საფრანგეთის შორის არსებულს ანტაგონიზმს და ეკონომიურს კონკურენციას ინგლისსა, გერმანიასა და რუსეთს შორის გააფუჭებს გერმანიის პოლიტიკა ოსმალეთშიო. ტყუილია, ვითომც რუსეთს სრულიად გამოლეოდეს ძალა იაპონიასთან ომის გამო. გერმანიასთან ომი, უეჭველია, პოპულიარული იქნება რუსეთში. ავსტრო-უნგრეთი უნდა ფრთხილად იყოს, რომ მას გერმანიის პოლიტიკამ არ ავნოს. შემდეგმა ორატორებმა უთხრეს კრამარს, რომ მისი შიში უსაფუძვლოა.

თეირანი. რეშტიდან მოსულ ცნობებით პრინც აბდულ-უსეინის ხელახლა დანიშვნამ გილანის გენ-გუბერნატორათ დიდი შფოთი გამოიწვია მცხოვრებლებში. ვაჭრები, სამღვდელოება, მემამულეები ითხოვენ პრინცის გადაყენებას, რადგანაც იგი ძლიერ მკაცრად ეპყრობა მცხოვრებთ.

ლონდონი. „ტრიბუნა“-ს აუწყებენ პეკინიდან, იაპონია კორეაში თავის სადამოყურო ტარიფის გავრცელებას აპირობს, რაც გამოუსადეგარი იქნება უცხოელებისათვისო.

ნოვოჩერკასკი. აქ თავს იყრიან ყაზახ-რუსთა ჯარების წარმომადგენლნი.

პეტერბურგი. მინისტრთა საბჭოში ამ დღეებში საბოლოოდ გადაწყდება საკითხი სახელმწიფო სათათბიროს ცხოვრებაში გატარებისა. მინისტრთა საბჭომ დაადგინა უმაღლეს მთავრობას დაექვემდებაროს სამხედრო ძალის მოქმედება იმ ადგილებში, სადაც განსაკუთრებული ზომებია, ან იქნება შემოღებული, — გაძლიერებული დაცვა, სამხედრო წესები და სხ.

პარიზი. დიპლომატიურ წრეების აზრით შესაძლებელია შეთანხმება საფრანგეთსა და გერმანიას შორის მაროკოს საკითხში. ამბობენ აგრეთვე, რომ შესაძლებელია საქმეში რუზველტი ჩაერიოს. დარწმუნებული არიან, კონფერენციამ რომ ცუდათ ჩაიაროს, ომი მაინც არ ჩამოვარდებაო.

თეირანი. სამხედრო მინისტრად დაინიშნა შაჰის უმცროსი ძმა პრინცი ნაიბ სულთანი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა სიმპატიური განწყობილება ჰქონოდა რუსეთთან.

შამახა, 8 თებერვალი. 10 წუთის განმავლობაში მიწისძვრა იყო. არავინ არ დაშავებულა.

ბახმუტი. ყაზახ-რუსთა პოლკის კამანდირი გვთხოვს განვაცხადოთ, რომ ტყუილია ხმები ბახმუტიდან ყაზახ-რუსების გაყვანაზე.

ჩერკასი. მდიდარ ლიპსკის სახლის წინ ბომბამ იფეთქა. არავინ არ დაშავებულა.

ლიბავა, 8 თებერვალი. ჰაზენპოტის ახლოს 3 თებერვალს 32 კაცი დახვრიტეს, 4 ჩამოახრჩვეს 4 მასწავლებელი, დახვრიტეს ორი გლეხი. გუშინ გრობინთან დახვრიტეს 8 კაცი დასწვეს ორი კარ-მიდამო.

რიგა. დღეს, 8 თებერვალს, უსტ-დვინსკის ციხეში დახვრიტეს შტეინბერგი, ზამო, იოგანსონი და ზემკალი, რომელთაც უმაღლეს სახელზე გაჰგზავნეს პატიებაზე შუამდგომლობა, მაგრამ არ იქმნა შეწყნარებული.

კალიში, 8 თებერვალი. „კალიშ. კურიერ“-ის სიტყვით, გუბერნატორს ცნობა მიუღია, რომ ჩქარა ახალი წესები შემოვა გმინებიდან სახელმწიფო სათათბიროს წევრების ასარჩევად.

პეტერბურგი. საერო განათლების მინისტრმა ნება ითხოვა სახალხო კითხვების შესახებ არსებულ წესების მოსპობის შესახებ. დღეისაიერ სახალხო კითხვები გამოცხადებითის წესით იწარმოვებს. — ჟურნალ „ჟუპელ“-ის რედაქტორს 6 თვის ციხე გადაუწყვიტეს და აუკრძალეს რედაქტორობა 5 წლის განმავლობაში. ჟურნალი სამუდამოთ მოისპო. „სინ ოტეჩესტვა“-ს რედაქტორს იურიცინს ერთი წლის ციხე გადაუწყვიტეს, აუკრძალეს რედაქტორობა 5 წლის განმავლობაში. გაზეთი სამუდამოდ მოისპო. იურიცინი გამოუშვეს დედის თავმდებობით, რომელმაც 5000 მან. შეიტანა გირაოთ.

მოსკოვი, 8 თებერვალი. გაიხსნა კრება 17 ოქტომბრის კავშირის წევრებისა. თავმჯდომარეობს გედენი; ამხანაგად ჰყავს კორფი და შაპოვი. გედენმა, სხვათა შორის, განაცხადა, რომ კავშირის სურვილია რუსეთში დამყარდეს პოლიტიკურ ცხოვრების თანდათანობითი განვითარება, რაც სასტიკად საზღვრავს ჩვენს კავშირს როგორც პატრიოტებისაგან, ისე უკიდურეს მემარცხენეთაგანო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 თებერვალი

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, განზრახულია, შემოიღონ საგლეხო ბანკის ოპერაციები პრუსიის მიხედვით, სადაც რენტიან მამულების ინსტიტუტი არსებობს.

სევასტოპოლი. მთავარ კამანდირს ოპერაცია გაუკეთეს. ტყვია ამოაცალეს. კამანდირი კარგად გრძნობს თავს.

მოსკოვი. დღეს საღამოს გაიმართა 17 ოქტომბრის საგლეხო კავშირის პირველი სხდომა, რომლის დროს გაჩნდნენ სოც.-დემოკრატები და ხელი შეუშალეს კრების განგრძობას. კრებამ ყვირილით გარეკა სოც-დემოკრატები. კრება დახურა პოლიციამ.

ლონდონი. გაზეთ „ტრიბუნა“-ს აუწყებენ სალონიკიდან, ოსმალეთში დიდი მზადება ბულგარეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

რიგა, 8 თებერვალი. გასულ კვირას ორლოვის რაზმმა სიკვდილით დასაჯა 4 რევოლიუციონერი და გადასწვა რამდენიმე სახლი ერლაას ახლო-მახლო.

რიგა. 8 თებერვალი. ვალკის მაზრაში, მარიენბურგის და შვანბერგის ახლო-მახლო ადგილებში 40-მდე კაცი დაიჭირეს.

ვიატკა. გუბერნატორმა დახურა ვიატკის სახალხო სკოლების მასწავლებლების ურთ-ერთშორის დამხმარებელი საზოგადოება.

მიტავა. ბევრი მეამბოხე ფინლიანდიაში გაქცეულა.

პეტერბურგი. გაიხსნა სრულიად რუსეთის „რუსთა კრების“ პირველი კრება.

„ბირჟ. ვედომოსტი“ იუწყება, ამ ჟამად იბეჭდება ოფიციალური პროექტი სახელმწიფოის ძირითად კანონისა. ზოგიერთ ორგანიულ სტატიებს გარდა პროექტში შედის რამდენიმე მუხლები კერძო პროექტებისა, რომლების შესახებ ცნობები [illegible] იყო. ეს პროექტი ჩქარა იქნება შეტანილი სახელმწიფო საბჭოში. ძირითად კანონის გამოქვეყნება განზრახულია სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამდე, რომელსაც, როგორც კანონმდებელსა და არა დამფუძნებელს ორგანოს, არ ექნება ნება ხელახლა გადასინჯოს ეს კანონი.

იაროსლავი დემიდოვის იურიდიულ ლიცეის დირექტორად აირჩიეს ხარბინის უნივერსიტეტის პროფესორი ჩუბინსკი.

პეტერბურგი. პალატამ გაამართლა „რუსკაია გაზეტა“-ს რედაქტორი დეჩინსკი, რომელსაც სოციალისტ-მუშების ცნობილ მანიფესტის დასტამბვა ედებოდა ბრალად.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ახალი წიგნები

სამი სიტყვა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა — ერთობა ივ. მაჭავარიანისა — 5 კ.
როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენლების არჩევნები? ა. ლომთათიძისა — 4 კ.
დუკმა ჭურის ამბავი ანუ ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან თარგმანი კ. ნინიძისა — 6 კ.

იყიდება ვ. გადილიას წიგნის მაღაზიაში, ტფილისი კიროჩნი ქუჩა № 7 და ქ. შორის წ. კ. გამ. საზოგადოების მაღაზიაში. (5—6.—3)

კბილებს

ვღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ იოხველი. მიხეილის ქ. № 90. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—35)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
ოთხი წიგნი

!!!ნერგი!!!

ოთხი წლისათვის საკითხავი, საწერი და საგრამატიკო მასალით ანბანითურთ, — სკოლებში, ოჯახებში და მოზრდილთათვის სახმარად. შეიცავენ რჩეულ წერილებს ძნელი სიტყვების განმარტებით.

თვითეული წიგნი ღირს 20 კაპეიკი გაგზავნით. წიგნით მოვაჭრეებს და სკოლებს დაეთმობათ 15 კაპეიკად. გასაცნობად გამწერთ შეუძლიანთ წიგნების ფასი მარკებით გამოგზავნონ. მზადდება მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე წლების წიგნებიც ამავე სახელით. ადრესი: въ Тифлисъ, Тумановскій пер. 38. Ивану Павлвичу Ростомашвили.

აქვე იყიდება სახლი, ცხრა ოთახი და სარდაფი 80 საჟენი მიწით, ბანკის ვალი 1600 მანეთი, დასამატი 2400 მანეთი. წყნაადგილი და სუფთა ჰაერია. (10—8)

განცხადება

საგლეხო საადგილ-მამულო ბანკისა.

ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების და მისს იმპერატორებით უდიდებულესობის კავკასიის ნამესტნიკის შორის მომხდარ შეთანხმების ძალით ქალაქ ტფილისში იხსნება ამიერ-კავკასიის განყოფილება საგლეხო საადგილ-მამულო ბანკისა; ბანკი იმოქმედებს ამიერ-კავკასიის იმ ადგილებში, რომელიც ექვემდებარება კავკასიის საერთო სამოქალაქო მმართველობას, ესე იგი ტფილისის, ქუთაისის, ბაქოს, განჯის და ერევნის გუბერნიებში. ზემოხსენებული განყოფილება შეუდგება მოქმედებას 1906 წ. თებერვლის 15-დან. (5—43—3).

საომარ წესების ახსნის შემდეგ კვლავ გამოვა

„პატარა გაზეთი“

ყოველ-დღიური სრულ-პროგრამიანი გამოცემა:

ერთის წლით ღირს 3 მან. ნახევარისა . . 2 მან.

Редакція „Патара Газети“. Дворцовая, у., д. Дворянства № 17.

რედაქტორ-გამომცემელი კ. მესხი.

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-ისა. განჯის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.